

მაჩხანის ბილინგვა და მონოლინგვა

საქართველოში არაბობის ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვან პირველწყაროდ წარმოგვიდგება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი VIII-XI საუკუნეების როგორც ქართული, ასევე არაბული (ქუფური დამწერლობით შესრულებული) წარწერები.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, დამატებითი კვლევის შედეგების გათვალისწინებით, ხელახლა განვიხილოთ შუა საუკუნეების ეპიგრაფიკის ორი მნიშვნელოვანი ძეგლი – მაჩხანის ეკლესიის ქართულ-არაბული ბილინგვა და ქართული მონოლინგვა, და შევაფასოთ ამ ორი პირველწყაროს ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა. ჩვენი ამოცანა სამგვარია: ა) წარწერების პალეოგრაფიული ანალიზი; 2) წარწერების ახლებური დათარიღების საფუძველზე მაჩხანის ეკლესიის მსგავსი ხუროთმოძღვრული ძეგლების ქრონოლოგიის დაზუსტება; და 3) წარწერების შინაარსის საფუძველზე საქართველოში არაბობის ისტორიის ზოგიერთი საკითხის გარკვევა.

მაჩხანის ეკლესია საქართველოში არაბული სამფლობელოების ისტორიული ცენტრის, ქალაქ თბილისის (იმდროინდელ ფარგლებში) მახლობლად მდებარეობს, დიღმის ხეობაში, სოფლების ნოდორეთისა და ბევრეთის შემაკავშირებელი გზის სიახლოვეს. ამ დარბაზული ტიპის (ერთნავიანი) პატარა ნაგებობის კედლებზე რამდენიმე ლაპიდარული წარწერა იყო ამოღებული. კვლევა ეფუძნება მაჩხანის ეკლესიისა და მისი წარწერების ადგილზე შესწავლის შედეგებს (2023 წლის თებერვალში; ექსპედიციის წევრები: ირაკლი ფალავა, თამაზ გოგოლაძე, დავით სილაგავა).

ეკლესია „აღდგენილი“ და ახლებურად გადახურული დაგვიხვდა, ტერიტორია კი – ნაწილობრივ შემოღობილი; სამწუხაროდ, სამუშაოები, ჩანს, არაპროფესიულად ჩატარდა; კერძოდ, მნიშვნელოვანწილად განადგურდა ისეთი არსებითი ხუროთმოძღვრული დეტალი, როგორცაა სამხრეთი ფასადის ლავგარდანი (კარნიზი), რომელიც 1940-იან წლებში გ. ჩუბინაშვილს კარგად შენახული დახვდა და ხელოვნების ისტორიკოსისთვის მნიშვნელოვან დეტალს წარმოადგენდა.¹ ფასადის კვადრებს შორის სივრცეები ცემენტით (?) ამოავსეს. შიგნით ეკლესიაში საკურთხეველში ვეღარ ვნახეთ მო-

¹ ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 441-442, 446, სურ. 5; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века, გვ. 441-442, 445, სურ. 5; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв., გვ. 173, 176.

ხატულობა, ის „ორი წმიდა მამის ფიგურა en face“, რომელთა არსებობაც გ. ჩუბინაშვილმა აღნიშნა.¹ საბედნიეროდ, წარწერები თითქმის ხელუხლებელი დარჩა. მათ დღევანდელ მდგომარეობას ქვემოთ განვიხილავთ.

ეკლესიისა და მისი წარწერების ადგილზე de visu შესწავლის გარდა, კიბის გამოყენებით მოხერხდა ლაპიდარული წარწერების ცელოფანზე გადატანაც, რის საფუძველზე შემდგომში დამზადდა პალეოგრაფიული პირებიც.

ეკლესიის კედლის ნყობაში გამოყენებულ ქვებზე თავდაპირველად, ჩანს, სამი წარწერა იყო: ერთი პრაქტიკულად განადგურებულია; მეორე ქართულ-არაბულ (ნუსხურნარევ-ასომთავრულ და ქუფურ) ბილინგვას წარმოადგენს; მესამე კი ექსკლუზიურად ქართულენოვანია (ნუსხურნარევ-ასომთავრულია). წარწერებს ცალ-ცალკე განვიხილავთ.

სამხრეთ კედელში შესასვლელის ბალავრის ქვაზე ექსცენტრულად, უფრო მარჯვნივ, ფონის ჩაღრმავებით რელიეფურად ამოკვეთილია ჯვრის გამოსახულება, რომლის მარცხნივ და მარჯვნივ წარწერებიც ამოუჭრიათ (სურ. 1).




სურ. 1 (Fig. 1)


წარწერა I (განადგურებული) (სურ. 1). ჯვრის მარჯვნივ ქვის ზედაპირი დაზიანებულია; როგორც ჩანს, განგებ გადათლილია რაღაც გამოსახულება, ან, უფრო, წარწერა. თითქოს, განიჩრევა რამდენიმე ასომთავრული (?) გრაფემაც (?). თუ რამ განაპირობა ეს *damnatio memoriae* – უცნობია; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ქრისტიანული სიმბოლიკა ეკლესიის კედლებზე ხელუხლებლად არის შემონახული; ისევე როგორც არაბული სიტყვები (?); წარწერას (?)

¹ ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 447; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века, გვ. 447; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв., გვ. 177.

მისი შინაარსის გამო თუ გადათლიდნენ; მისი ნაკითხვა დღეისთვის სრულიად წარმოუდგენელია (მაჩხანის ეკლესიის წარწერებისადმი მიძღვნილ წინარე შრომებში ალბათ სწორედ ამიტომ მოხსენიებულიც კი არ არის).



სურ. 2ა (Fig. 2a)



სურ. 2ბ (Fig. 2b)

წარწერა II (ქართულ-არაბული ბილინგვა) (სურ. 1, 2ა, 2ბ). ჯვრის მარცხნივ კი, ქვის ცენტრიდან ცოტა მარცხნივ, შესასვლელის თავზე (ცოტა მარცხნივ) ჩაღრმავებულ ფონზე ამოჭრილია რვასტრიქონიანი ქართულ-არაბული ბილინგვა, შესრულებული ნუსხურნარევი ასომთავრულითა და ქუფური დამწერლობით. არაბულად მხოლოდ სამი სიტყვაა, დანარჩენი ტექსტი კი ქართულია; მიუხედავად ამისა, არაბული და ქართული წარწერების შინაარსის ნაწილობრივ მაინც დამთხვევის გამო, წარწერას მაინც ბილინგვას ვუწოდებთ.

ბილინგვა ძალიან კარგად, პრაქტიკულად სრულად არის შენახული. ახალი დაზიანებებიდან შეიძლება აღვნიშნოთ მხოლოდ ქვედა მარცხენა კუთხის დამატებითი ატკეჩა, რის გამოც აღარ იკითხება Q (ო) გრაფემა წარწერის ქვედა სტრიქონში, მარცხნივ, და ჩამოტეხილია ქვემოდან მეორე სტრიქონის მარცხენა ორი გრაფემის I (ი) და P (ტ) ქვედა კიდები – ისინი კარგად ჩანს გ. ჩუბინაშვილის სტატიაში მოყვანილ გრაფიკულ მონახაზზე¹ და თ. ბარნაველის სტატიაში მოყვანილ ფოტოსურათზე;² მეორე მხრივ, ნოდარ შოშიაშვილის 1980 წლის ნაშრომში მოყვანილ ფოტოზე³ ეს ადგილები უკვე ატკეჩილია; მაშასადამე, წარწერა, საფიქრებელია, 1962-1980 წლების შუალედში დაზიანდა, მას შემდეგ კი არ შეცვლილა.

წარწერა პირველმა გ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა,⁴ არაბული ნაწილის გ. ნერეთლის, ხოლო ქართული ნაწილის კი, ჩანს, ა. შანიძის ნაკითხვით (ნაკითხვა, გრაფიკული მონახაზი, ნაკითხვა რუსულად სტატიის რუსულენოვან ვერსიაში, ორი ნვრილმასშტაბიანი ფოტო).⁵ როგორც გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, ძეგლის არსებობა მკვლევართ შეუტყვიათ იროდიონ სონღულაშვილისაგან; რაც შეეხება უშუალოდ ბილინგვის შესწავლის დაწყებას, „15-20 წლის წინათ, წარწერათა გასაცნობად ეკლესია ინახულა პროფ. ა. შანიძემ“; გ. ჩუბინაშვილი კი ძეგლს პირველად 1935 წლის 15 მაისს გაეცნო.⁶

¹ ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 443, სურ. 4; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века, გვ. 443, სურ. 4.

² ბარნაველი, მარხანის ეკლესიის წარწერები, გვ. 649; Барнавели, Надписи мачханской церкви, გვ. 649.

³ შოშიაშვილი (შემდგ.), წარწერების კორპუსი, ლაბიდარული წარწერები, ტ. 1, ტაბულა 87-1,2.

⁴ 1970 წლის გადანახეჭდის თანახმად, ტექსტი დაინერა 1947 წელს (Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв., გვ. 173).

⁵ ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 441-447; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века, გვ. 441-447; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв., გვ. 173-177, ტაბ. 62-63.

⁶ ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 442; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской

გ. ჩუბინაშვილის პუბლიკაციის მიხედვით, ბილინგვის ქართული ნაწილი შემდეგნაირად იკითხება (ა. შანიძის ვერსიით):¹

„ქ. სახელითა ღმრთისაჲთა, მეოხებითა წმიდისა თევდორესითა – ადიდენ ღმერთმან ქართლისა ამირაჲსა ბედჲთა – აეშენა ესე საყდარი ჰომად კიტრისძისაობასა. უფალო, შეუნდვენ ცოდვანი“;

გ. ჩუბინაშვილისვე შრომების რუსულ ვერსიაში, რუსულ თარგმანში:²

“Во имя бога, вспомоществованием св. Федора по повелению грузинского эмира Хомада Китрисдзе (да возвеличит его бог!) построена эта церковь в его правление. Господи, прости ему прегрешения”.

1957 წელს ლ. მელიქსეთ-ბეგმა მოიყვანა წარწერის რამდენადმე განსხვავებული თარგმანი რუსულად:³

“Во имя бога, вспомоществованием св. Федора, по повелению эмира Картли Хамада Китрисдзе [да возвеличит его бог!], построена эта церковь в его правление. Господи, прости ему прегрешения”.

1960 წლის „არქიტექტურულ მეგზურში“ რ. შმერლინგს, ვ. დოლიძესა და თ. ბარნაველს მოყვანილი აქვთ წარწერის წაკითხვა რუსულად, გ. ჩუბინაშვილის პუბლიკაციის მიხედვით.⁴

1962 წლის სტატიაში კი თ. ბარნაველი აქვეყნებს წარწერის ხარისხიან ფოტოს და წაკითხვას ა. შანიძის მიხედვით, ასევე წაკითხვას რუსულად სტატიის რუსულ ვერსიაში; წაკითხვაც და რუსული თარგმანიც ზუსტად იმეორებს გ. ჩუბინაშვილის პულიკაციებში მოყვანილ ტექსტებს.⁵

архитектуры VIII-IX века, გვ. 442; Чубинашвили, *К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв.*, გვ. 174.

ლ. მელიქსეთ-ბეგთან ვხვდებით აგრეთვე მითითებას, რომ, შესაბამისი ინფორმაცია და [წარწერის] ფოტოგრაფია ჩანახატთან ერთად მას მიაწოდა რ. შმერლინგმა, გ. ჩუბინაშვილის პუბლიკაციამდე „დიდი ხნით“ ადრე (“задолго до публикации названной статьи”) [Меликсет-Бек, *Рельефы руки*, გვ. 116].

¹ ჩუბინაშვილი, *VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის*, გვ. 442.

² Чубинашвили, *К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века*, გვ. 442; Чубинашвили, *К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв.*, გვ. 174.

³ Меликсет-Бек, *Рельефы руки*, გვ. 115-116.

⁴ Шмерлинг, Долидзе, Барнавели, *Окрестности Тбилиси. Архитектурный путеводитель*, გვ. 81.

⁵ ბარნაველი, *მაჩხანის ეკლესიის წარწერები*, გვ. 649-650; Барнавели, *Надписи мачханской церкви*, გვ. 650.

1980 წელს „ლაპიდარული წარწერების“ I ტომში ნ. შოშიაშვილს მოყვანილი აქვს წარწერის გრაფიკული მონახაზი – გ. ჩუბინაშვილის ნაშრომიდან, ახალი ხარისხიანი ფოტო, გადმონაწერი დედნის შრიფტის დაცვით და ნაკითხვა გახსნილი ქარაგმების მითითებით.¹ საყურადღებოა, რომ ტიპოგრაფიის ნ. შოშიაშვილს გ. ჩუბინაშვილის პუბლიკაციისგან განსხვავებულად აქვს დასმული (ანუ, წარწერა სხვანაირად ჰქონდა გააზრებული?):

„† სახ(ე)ლი(თ)ა ღ(მრ)თ(ისაჲთ)ა,
მე(ო)ხ(ე)ბ(ი)თა წ(მიდის)ა თ(ეოდორ)ე-
ს(ით)ა, ად(ი)დ(ე)ნ ღ(მერ)თ(მ)ან – ქ(ართლის)ა
ამ(ირაჲ)სა ბედჲთა – ა-
ეშენა ესე საყ-
დარი ჰომად კ-
იტირისძისაობასა.
უ(ფალ)ო შეუნდვ(ე)ნ ც(ო)დ(ვ)ა(ნ)ი“

1997 წლის პუბლიკაციაში კ. დანელია და ზ. სარჯველაძე პრაქტიკულად იმეორებენ ნ. შოშიაშვილის ნაკითხვას (მხოლოდ ერთგან დაქარაგმებულ სახელს ოდნავ განსხვავებულად ხსნიან – „თ(ეოდორ)ე- / ს(ით)ა“). სასვენი ნიშნებიც რამდენადმე განსხვავებულად აქვთ გადანაწილებული:²

„† სახელითა ღმრთისაჲთა,
მეოხებითა წმიდისა თეოდორე-
ჲსითა, – ადიდენ ღმერთმან, – ქართლისა
ამირაჲსა ბედჲთა ა-
ეშენა ესე საყ-
დარი ჰომად ე [sic]
კიტირისძისაობასა.
[უფალ]ო შეუნდვენ ცოდვანი“

ვიზიარებთ და ქვემოთ ვიმეორებთ ნ. შოშიაშვილის ნაკითხვას. მეტიც, ვადასტურებთ, რომ ქვედა სტრიქონის ბოლო სამი (?) გრაფემის შემორჩენილი ფრაგმენტები ნამდვილად კარგად შეესაბამება კომპლექსს ႠႠႠ (-ანი), „ც(ო)დ(ვ)[ანი]“ (სურ. 2ა, 2ბ); ქვედა სტრიქონის მარცხენა ნაწილში ვტოვებთ სიწყვას „[უ(ფალ)]ო“ – Ⴀ ასოს ფრაგმენტი, ახლა თუ არ ჩანს, ნამდვილად

¹ შოშიაშვილი (შემდგ.), *წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები*, ტ. 1, გვ. 225, ტაბულა 87-1,2.

² დანელია, სარჯველაძე, *ქართული პალეოგრაფია*, გვ. 49-50.

იკითხება როგორც გ. ჩუბინაშვილის მონახაზში, ასევე თ. ბარნაველის ფოტოზედაც; სიტყვის აღდგენაც დამაჯერებელია. იხ. ცხრილი 1.

ბილინგვის არაბული ნაწილი ქართულის თანადროულია; გარდა იმისა რომ შინაარსობრივადაც ეხმიანება, ქართული წარწერის შუაში სივრცე არაბული გრაფემების ამოსალარად საგანგებოდ დატოვეს.

არაბული ტექსტის წაკითხვას რამდენადმე აძნელებს ის გარემოება, რომ ის ქუფური შრიფტითაა, დიაკრიტიკული ნიშნების გარეშე.¹

(ფოტოსურათის მიხედვით) ბილინგვის არაბული ნაწილის წაკითხვის ავტორობა გ. წერეთელს ეკუთვნის (გ. ჩუბინაშვილისადმი 1942 წლის 5 ნოემბერს მიწერილ წერილში); სამ სტრიქონად განაწილებულ სამსიტყვიან წარწერას გ. წერეთელი შემდეგნაირად კითხულობდა: „ორი სიტყვა ადვილად იკითხება: **حمد بن** ‘ჰუმად იბნ’ (ჰუმად ძეისა). საეჭვოა მესამე სიტყვა, რომელიც ჰუმადის ქუნაას წარმოადგენს: **كسر**. შესაძლოა იგი იყოს **بشير** ‘ბაშირ’, თუმცა მისი წაკითხვის სხვა მრავალი შესაძლებლობაც არსებობს“.²

თ. ბარნაველი არაბულ ფრაგმენტს არ შეეხო. რაც შეეხება შემდგომ მკვლევართ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ არაბული ტექსტის ჰუმად ბ. ბაშირისა და ქართული ტექსტის ჰომად კიტრისძის შესაბამისობაში მოყვანის სურვილმა არაბული ტექსტის არასწორ ინტერპრეტაციამდე მიიყვანა.

უკვე რ. შმერლინგმა (თანაავტორებთან ერთად, რომელთა შორის თ. ბარნაველიც იყო) აღნიშნა, რომ არაბული წარწერის მესამე სიტყვა შეიძლება ქართულ კიტრისძეს „შეესაბამებოდეს“ (“*Два первых слова читаются как ‘Хумад ибн’ (Хумад, сын такого-то), третье может соответствовать грузинскому ‘Китрисдзе’*”).³

ნოდარ შოშიაშვილი გადმოსცემდა⁴ არაბულ სიტყვებს, როგორც

„ჰუმად იბნ ქითრი“ (?) (“**حمد س كسر**”)⁵

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობაშიც მითითებულია, რომ „ორივე ტექსტის მიხედვით ეკლ. აუგია ჰომად კიტრისძეს“.⁶

¹ გ. წერეთელს გამოთქმული აქვს მოსაზრებები წარწერების პალეოგრაფიასთან დაკავშირებით (ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 443; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века, გვ. 443; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв., გვ. 174).

² ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 443; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века, გვ. 443; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв., გვ. 175.

³ Шмерлинг, Долидзе, Барнавели, Окрестности Тбилиси. Архитектурный путеводитель, გვ. 81.

⁴ შოშიაშვილი (შემდგ.), წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. 1, გვ. 225.

⁵ უნდა აღინიშნოს, რომ „ქითრი“ არაბულად სხვანაირად დაინერგებოდა.

⁶ გვეტაძე, ზაქარაია, მაჩხანის ეკლესია, გვ. 277.

1997 წლის ქართული პალეოგრაფიისამი მიძღვნილ ნაშრომშიც აღნიშნულია, რომ „სამი სიტყვა ‘ჰუმად იბნ ქითრი’(?) არაბულად არის ჩანერილი“.¹

ადგილზე შესწავლამ (იხ. ასევე ფოტოსურათი და პალეოგრაფიული პირი, სურ. 2ა, 2ბ) ცალსახად დაგვარწმუნა, რომ ქვედა არაბული სიტყვის პირველი გრაფემა ნამდვილად არ არის **კ**; ასეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეიქმნას მაინცდამაინც არაბულ წარწერაზე (*damnatio*?) ჯვარედინად დატანილი ორი ნაჩეხი ჩანაჭდევის გამო, რომელთაგან ერთ-ერთის ქვედა კიდე აღნიშნული სიტყვის პირველ გრაფემაზე გადაივლის და, ერთი შეხედვით, მას, თითქოს, ზევითკენ აგრძელებს; თუმცა, ნ. შოშიაშვილის ნაშრომში მოყვანილ ფოტოსურათზედაც² მკაფიოდ ჩანს, რომ პირველი გრაფემა **კ** არ არის. მეტიც, *ქითრ* (ქართულ ტექსტში კი *კიტრისძე ტარითაა*) (ჰიპოთეტურად **كيتر**) რომ ყოფილიყო დანერილი, პირველ და ბოლო გრაფემას შორის მხოლოდ ორი კბილი იქნებოდა ამოღარული, და არა ოთხი, როგორც სინამდვილეშია. ცალსახად შეიძლება მტკიცება, რომ არაბულ წარწერაში ქვედა სიტყვა არ არის *ქითრ* / „ქითრი“. სავსებით ვეთანხმებით გ. წერეთელს, და ვთვლით, რომ ქუფური დამწერლობით შესრულებული გრაფემები უდიდესი ალბათობით აღნიშნავს სახელს ბაშნრ; მითითებული პირის სრული სახელი კი გამოდის, შესაბამისად, ჰუმად ბ. ბაშნრ. მაშასადამე,

حمد

س

سسر

არის

حمد

بن

بشير

ამრიგად, ქართულ ტექსტში მოხსენიებულია ვინმე „ჰომად კიტრისძე“ (ღ. ამ შემთხვევაშიც შეიძლება „უ“-ს გადმოსცემდეს, როგორც სიტყვაში „შეონდვ(ე)ნ“; ანუ, ქართულ ტექსტშიც იგულისხმებოდეს *ჰუმად*), არაბულში კი – „ჰუმად ბ. ბაშნრ“, ანუ, *ჰუმად ძე ბაშირნსა*. ერთსა და იმავე წარწერაში, მის ერთდროულად ამოღარულ არაბულ და ქართულ ნაწილში ერთი და იგივე საკუთარი სახელით (ანუ, *ისმით*) ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს მოხსენიებული. მაგრამ რატომ აქვს განსხვავებული მამის სახელი, *ნასაბი*, ანუ, რა-

¹ დანელია, სარჯველაძე, *ქართული პალეოგრაფია*, გვ. 49, სქოლიო 2.

² შოშიაშვილი (შემდგ.), *წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები*, ტ. 1, ტაბულა 87-2.

ტომ იწოდება არაბულ ტექსტში *ქედ ბაშირისა*, ქართულში კი *კიტრისძე*? გ. ნერეთელი წერდა: „რადგან ჰ უ მ ა დ ქართულ ტექსტშიაც გვხვდება („ჰომად“-ის სახით), საფიქრებელია, რომ არაბული ქუნაჲ ქართული კ ი ტ რ ი ს ძ ი ს შე-სატყვისი იყოს, მაგრამ ამჟამად მე არ შემიძლია როგორმე დავუკავშირო არაბული ტექსტის **سسر** ქართულ კიტრის ძეს“. ¹ ჩვენი აზრით, შეუსაბამობა აიხსნება იმით, რომ ბილინგვის ქართულენოვან ნაწილში მითითებულია ჰუმადის თუ ჰომადის არა *მამის სახელი*, არამედ *საგვარეულო სახელი* – ხელოსანს განკვეთილობის ნიშნები (ორწერტილები, ორგან სამწერტილი) ძალიან სისტემურად აქვს ამოჭრილი – ყოველი სიტყვის შემდეგ; ეს პრინციპი საკმაოდ თანმიმდევრულად არის დაცული, – სამწერტილი ერთგან მაშინაც კია დასმული, როდესაც სიტყვა სტრიქონს აბოლოებს (მე-3 სტრიქონის ბოლოს). ამრიგად, ცალსახაა, რომ ქართული წარწერის ჰომადი არის „კიტრისძე“, და არა *კიტრის ძე*, ვინაიდან შუაში განკვეთის ნიშანი არ უზის. არაბულ ტექსტში აისახა ამ პირის *მამის სახელი*, *ნასაბი*, ქართულში კი – *საგვარეულო სახელი*; არაბული წარწერის „ჰუმად ბ. ბაშირ (?)“ და ქართული წარწერის „ჰომად კიტრისძის“ სრული სახელია *ჰუმად/ჰომად ძე ბაშირისა, კიტრისძე*.

ვინ იყო ეს პიროვნება და რა დროს მოღვაწეობდა? უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიისთვისაც, ვინაიდან ჰუმადის/ჰომადის იდენტიფიკაცია მაჩხანის ეკლესიის დასათარიღებლად გამოიყენეს; მაჩხანის ეკლესიის აგების დედუცირებული თარიღით კი მსგავს არქიტექტურულ ძეგლებს ათარიღებდნენ (*vide infra*). კიტრისძე ჰუმად/ჰომად ძე ბაშირისა სხვა, ჩვენთვის ცნობილ წყაროებში არ გვხვდება. გ. ნერეთელი შესაძლებლად თვლიდა გაეიგივებინა ის გარდმანის პატრიკიოსთან, რომელიც ატ-ტაბარნს ჰყავს მოხსენიებული ბულა თურქის შემოსევის კონტექსტში: „ქართულ ტექსტში მოხსენიებული სახელი კ ი ტ რ ი ს ძ ე (ჰ ო მ ა დ კ ი ტ რ ი ს ძ ი ს ა ო ბ ა ს ა) სხვა ქართულ ძეგლებში არ მახსოვს შემხვედროდეს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს იგივე სიტყვაა, რაც ტაბარნს (გრდ. 310//923 წელს) თხზულებაში **الرسول والملوك** მოხსენიებული გარდმანის პატრიკიოსის სახელი **القطري**. ეს უკანასკნელი კანონზომიერი არაბული გადმოცემაა სიტყვისა – კ ი ტ რ ი ს ძ ე“. ² გარდმანის პატრიკიოსისა და წარწერაში მოხ-

¹ ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. *ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის*, გვ. 443; Чубинашвили, *К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века*, გვ. 443; Чубинашвили, *К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв.*, გვ. 174.

² ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. *ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის*, გვ. 443; Чубинашвили, *К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века*, გვ. 443; Чубинашвили, *К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв.*, გვ. 175.

სენიებული ჰომადის იგივეობაში დარწმუნებულმა გ. წერეთელმა ამ იგივეობის საფუძველზე წარწერაც საკმაოდ თავდაჯერებულად IX საუკუნის შუახნით დაათარილა: „ტაბარნს, სახელდობრ, მოთხრობილი აქვს, რომ მას შემდეგ, რაც ბულა თურქმა თბილისი დასწვა, 'წარგზავნა ბულამ ზირაქი ციხესა გარდმანისასა, რომელი იგი არს შორის ბარდავისა და ტფილისისა [...] და დაიპყრა ზირაქი გარდმანი და წარტყვენა პატრიკიოსი მისი ალკიტრიჯი (= კიტრის ძე?) და წარიყვანა იგივე ბანაკსა' [...] ქრონოლოგიურად წარწერა ამ ამბების დროინდელი გამოდის, რომელთან დაკავშირებითაც ტაბარნ მოგვითხრობს القطر -ის შესახებ. ამგვარი დამთხვევა, ქრონოლოგიური და საკუთარი სახელის ფორმებისა, აგრეთვე ის ფაქტი, რომ ხსენებული საკუთარი სახელი ძალიან იშვიათია, გვაფიქრებინებს, ხომ არ არის ტაბარის მიერ მოხსენიებული გარდმანის პატრიკიოსი კ ი ტ რ ი ჯ, რომელიც სომხურ წყაროებშიაც გვხვდება კტრიჭ-ის სახით, იგივე პირი, რაც ჩვენი წარწერის კ ი ტ რ ი ს - ძ ე?“.¹

გ. ჩუბინაშვილმა სრულად გაიზიარა გ. წერეთლის მოსაზრება, და მასზე დაყრდნობით მაჩხანის ეკლესიის აგება „მტკიცედ“ IX საუკუნის შუახნით დაათარილა; უფრო მეტიც, იმავე ტიპის ხუროთმოძღვრული ძეგლებიც იმავე ეპოქას მიაკუთვნა: „მაჩხანის ნაგებობა, რომელიც მტკიცედ თარიღდება IX ს-ის შუა წლებით, ნებას გვაძლევს, რომ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები – ფასადთა ქვის წყობა, შენობის პროპორციები, სხვადასხვაგვარი საშენი მასალის კომბინაცია, თვით შემადგენელი ნაწილები და მათი ურთიერთშეფარდება, დასასრულ, ცალკეულ ხუროთმოძღვრულ ელემენტთა და სამკაულთა თავისებურება – მივიჩნიოთ VIII-IX ს.ს. მთელი ეპოქის რიგით ძეგლთა დამახასიათებელ თავისებურებად. ამიტომ, მაჩხანის ძეგლი მკვლევარს ხელთ აწვდის მასალას, რომელიც მას დაეხმარება ბევრი სხვა – დღემდე დაუთარილებელი – შენობის დათარიღების საქმეში“.² გ. ჩუბინაშვილის მოსაზრება გაზიარებულია თანამედროვე ქართველოლოგიურ საცნობარო ლიტერატურაში.³

¹ ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 444; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века, გვ. 444; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв., გვ. 175.

² ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 447; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века, გვ. 447; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв., გვ. 177.

³ Шмерлинг, Долидзе, Барнавели, Окрестности Тбилиси. Архитектурный путеводитель, გვ. 81; სალარაძე, მაჩხანი, გვ. 510; ჯაბუა, ქრისტიანული ტაძრის არქიტექტურული ტიპები, გვ. 66; შუბითიძე, ქართული ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები, გვ. 49.

საენციკლოპედიო სტატია გადაჭრით ამტკიცებს, რომ ეკლესია მაინცდამაინც „853“ წელს არის აშენებული (sic). სტატიას თან ახლავს სხვა ნაგებობის ფოტოსურათი (სალარაძე, მაჩხანი, გვ. 510).

ვთვლით, რომ ჰომად კიტრისძის გაიგივება *الجفطري*-თან, და, შესაბამისად, ამის საფუძველზე მაჩხანის ბილინგვისა და მაჩხანის ეკლესიის აგების IX საუკუნის შუახნით დათარიღება მეტად სათუოა. ჩვენი არგუმენტაცია:

1) არაბული დამწერლობის თავისებურებებიდან გამომდინარე, თავს შევიკავებდით მტკიცებისგან, რომ არაბული *ალ-კიტრიჯ* (და არა *კიტრიჯ*) ყოველთვის მაინცდამაინც ქართულ *კიტრისძეს* გადმოსცემს, და არ შეიძლება *სხვა რაიმე სახელს* გადმოსცემდეს;

2) არაბული *ალ-კიტრიჯ* ამ შემთხვევაში მაინც რომც ნამდვილად ქართულ *კიტრისძეს* გადმოსცემდეს, რამდენად სავალდებულოა, პირველწყაროებში თითოჯერ გაჟღერებული ეს სახელები ერთი და იმავე პიროვნების აღმნიშვნელად მივიჩნიოთ;¹

3) საზოგადოდ, გაუგებარია, რატომ უნდა აღნიშნულიყო გარდმანის პატრიკიოსის სახელი თბილისის საამიროს ცენტრის, ქალაქ თბილისის მიმდებარედ ახალაგებული ეკლესიის კედელზე; რამდენად რეალურია, გარდმანის პატრიკიოსი იმავდროულად თბილისის მიმდებარე ხეობის / ტერიტორიის გამგებელი ყოფილიყო? და, რაც მთავარია,

4) ბილინგვის ქართული ნაწილის პალეოგრაფიული ნიშნები დიდი ალბათობით გამორიცხავს მის მიკუთვნებას IX საუკუნის შუახანისადმი (გარდმანის პატრიკიოსის ზეობის დრო). ამ არგუმენტზე დანვრილებით გავჩერდებით.

საზოგადოდ, წარწერას ეტყობა სწრაფვა დეკორატიულობისადმი, რაც უფრო X-XI საუკუნეებისთვის არის დამახასიათებელი.

თვალში საცემია ქარაგმის ნიშნის კლაკნილობა, რაც, ნ. შოშიაშვილის მიხედვით, X საუკუნეში გვხვდება.²

ზოგიერთ გრაფემას შეემჩნევა აშკარა კიდურნერტილოვნება და კიდურნაისრულობაც კი (განსაკუთრებით *Ⴀ* და *Ⴁ* გრაფემებს).³ დათარიღებულთა შორის ჩვენთვის ცნობილი უადრესი კიდურნაისრული ეპიგრაფიკული ძეგლი ქორეთის ეკლესიის სამშენებლო წარწერაა (ქორონიკონის 220 / 1000 წ.).⁴

¹ საზოგადოდ, წყაროების სიმწირის პირობებში, რთული სათქმელია, სინამდვილეში რამდენად იშვიათი იყო *ამ ეპოქაში* და *რეგიონში* სახელი *კიტრისძე* / *ალ-კიტრიჯ*.

² შოშიაშვილი (შემდგ.), *წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები*, ტ. 1, გვ. 32.

³ თ. ბარნაველი, რომელიც წარწერას გ. ჩუბინაშვილის მსგავსად IX საუკუნით ათარიღებდა, აღნიშნავდა, რომ „ასოთა კიდურები ერთგვარად თანდათანობით მსხვილდება, მაგრამ ეს გამსხვილება არავითარ სამკაულში არ გადადის, როგორც ამას ადგილი აქვს უფრო მოგვიანო ხანაში (X-XI სს), როდესაც ასოების კიდურები მთავრდება წერტილებით ან ტყუბნვეტოვანი შუბისპირისებრი სამკაულით“ (ბარნაველი, *მაჩხანის ეკლესიის წარწერები*, გვ. 652).

⁴ სილოგავა (შემდგ.), *ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი*, II, გვ. 37-38, წარწერა 11.

ნ. შოშიაშვილი ფიქრობდა, რომ „ოდნავ შესამჩნევი კიდურნაისრულობა“ უკვე X საუკუნის II ნახევრიდან შეინიშნება.¹ კიდურნაისრულია რამდენიმე გრაფემა ჭყონდიდის ტაძრის ერთ-ერთ ნარწერაში მაცხოვრის გამოსახულების გარშემო (996? X საუკუნის დასასრული?).² ხაზების შესქელება დაბოლოებებთან გვხვდება კუმურდოს 964 წლის ნარწერებშიც.³ ლ. ახალაძის მიხედვით, „კიდურნაისრული დამწერლობის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი X საუკუნის შუახანებში მაინც (თუ უფრო ადრე არა) უნდა ვიგულისხმოთ“.⁴ უადრესი დათარიღებული კიდურწერტილოვანი ეპიგრაფიკული ძეგლი კი, ვ. სილოგავას მიხედვით, გურგენ მეფეთა მეფის 1006 წლის სამშენებლო ნარწერაა;⁵ თუმცა, ამ ნარწერაშიც კი „კიდურწერტილოვნება ჯერ არ არის ისე მკაფიოდ წარმოდგენილი, როგორც ამას 1032 წ. (ბაგრატ IV-ის ნარწერა იშხანში – ი. ფ.), და საერთოდ, XI ს-ის შუახანებით დათარიღებულ ნარწერებში ვხვდებით“.⁶ მაშასადამე, ვ. სილოგავა კიდურწერტილოვანი დამწერლობის გაჩენას XI ს-ის დასაწყისით ათარიღებს.⁷ ნ. შოშიაშვილის მიხედვით, კიდურწერტილოვანი გრაფემები X საუკუნეშიც გვხვდება.⁸

ბილინგვა (მონოლინგვაც, *vide infra*) იწყება ტექსტის დაწყების ტექნიკური ნიშნით, ჯვრით; ამ ნიშნის გამოყენება განსაკუთრებით X საუკუნეში გახშირდა (თუმცა, უფრო ადრეულ ნარწერებშიც გვხვდება, მართალია, შედარებით იშვიათად).⁹

საყურადღებოა ცალკეული გრაფემების მოყვანილობაც. დონი (წ) პრაქტიკულად უყელოა, ზედა განივი ხაზი თითქმის წრეს ებჯინება, რაც ასევე X საუკუნისთვის დამახიათებელი პალეოგრაფიული ნიშანია;¹⁰ საყურადღებოა ამ გრაფემის წრეგახსნილობაც მარცხენა მხარეს.¹¹ საყურადღებოა ასევე ენის (I) და ლასის (ხ) სპეციფიკური მოხაზულობა – ზედა შვეულთან დამატებითი ჰორიზონტალური ხაზებით; ნ. შოშიაშვილის აზრით, ასეთი ხაზები

¹ შოშიაშვილი (შემდგ.), *ნარწერების კორპუსი, ლაპიდარული ნარწერები*, ტ. 1, გვ. 33.

² სილოგავა (შემდგ.), *ქართული ლაპიდარული ნარწერების კორპუსი*, II, გვ. 35-36, ნარწერა 9; შეად. სილოგავა, *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა*, გვ. 53-54, ნარწერა 3.

³ სილოგავა, *კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა*, გვ. 39-46, 48-49.

⁴ ახალაძე, *ხუაფის ნარწერა*, გვ. 65.

⁵ სილოგავა, *დასავლეთ საქართველოს X-XVIII სს. ქართული ლაპიდარული ნარწერები*, გვ. 83.

⁶ იქვე, გვ. 84.

⁷ იქვე, გვ. 85.

⁸ შოშიაშვილი (შემდგ.), *ნარწერების კორპუსი, ლაპიდარული ნარწერები*, ტ. 1, გვ. 33.

⁹ იქვე, გვ. 32.

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე, გვ. 224.

მითითებულ გრაფემებს უკვე IX ს-დან უჩნდებათ;¹ თუმცა, ვ. სილოგავას მოსაზრებით, ამ კრიტერიუმით შესაძლებელია ლაპიდარული ძეგლის „ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი X ს-ით“ განისაზღვროს.²

ამ ძირითადად ასომთავრულ წარწერაში ასომთავრულის გვერდით გვხვდება უკვე აშკარად ნუსხური თუ განუსხურებული, გაკუთხოვნებული, გარდამავალი მოხაზულობის გრაფემებიც: π (ღ), π (ჰ); შ (მ) ასონიშნებშიც მუცლის შემკვრელი ხაზი მარჯვნივ აღარ, ან თითქმის აღარ გადადის, რაც ასევე განუსხურებისკენ მიდრეკილების მაჩვენებელია. ამ ფენომენსაც ნ. შოშიაშვილი ასევე სწორედ X საუკუნით ათარილებს.³

ყველა ზემოთ განხილული პალეოგრაფიული თავისებურების გათვალისწინებით, ბილინგვის (ქართული ტექსტის) IX საუკუნის შუანლებით დათარილება მეტად საეჭვოდ გვეჩვენება. ეს ეპიგრაფიკული ძეგლი, თავისი პალეოგრაფიული მახასიათებლებით აშკარად უფრო X საუკუნის ფარგლებში უნდა მოთავსდეს, ისიც, უფრო, საფიქრებელია, ამ საუკუნის II ნახევარში, ან, სულაც, XI საუკუნის I ნახევარში.

აქვე მოვიყვანთ წინამორბედ მკვლევართა მოსაზრებებსაც ბილინგვის დათარილებასთან დაკავშირებით: ა. შანიძის აზრით (გ. ჩუბინაშვილის გადმოცემით) წარწერა „X ს-ზე გვიანდელი არაა“⁴ (X საუკუნის ხომ არა?). ნ. შოშიაშვილი წარწერას X საუკუნით ათარილებდა, სხვათა შორის, „ტალღისებური ქარაგმის ნიშნის“ ხმარებისა და ასომთავრულ ტექსტში „ნუსხურის, ნუსხურზე და მხედრულზე გარდამავალი გრაფემების შერევის“ საფუძველზე.⁵ ამასთანავე, თ. ბარნაველის აზრით, „მაჩხანის ეკლესიის წარწერების ასოთა მოხაზულობა არ ეთიშება ამ ძეგლის მხატვრულ-სტილისტიკური და ისტორიული ანალიზის საფუძველზე აკად. გ. ჩუბინაშვილის მიერ დადგენილ თარიღს“.⁶

ვინაიდან წარწერა, როგორც ჩანს, საგანგებოდ შერჩეულ ბალავრის ქვაზეა ამოჭრილი, ის, გარკვეული ალბათობით, ეკლესიის აგების თანადროული უნდა იყოს. ამრიგად, წარწერის პალეოგრაფიული ნიშნებით დათარილების საფუძველზე, ეკლესიასაც X საუკუნით დავათარილებდით, რომ არ ვთქვათ X საუკუნის II ნახევრით, ან, სულაც, XI საუკუნის დასაწყისით თუ I ნახევრით.

¹ იქვე, გვ. 32.

² სილოგავა, დასავლეთ საქართველოს X-XVIII სს. ქართული ლაპიდარული წარწერები, გვ. 57.

³ შოშიაშვილი (შემდგ.), წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. 1, გვ. 33.

⁴ ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარილებისათვის, გვ. 442; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века, გვ. 442; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв., გვ. 174.

⁵ შოშიაშვილი (შემდგ.), წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. 1, გვ. 224.

⁶ ბარნაველი, მაჩხანის ეკლესიის წარწერები, გვ. 655.

5) მაჩხანის ეკლესიის აგების პერიოდზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუქცევთ ამ ნაგებობის არქიტექტურასაც, კერძოდ, ისეთი არქიტექტურული დეტალის, როგორცაა ლავგარდანი – დამატარილებელ მნიშვნელობას. გ. ჩუბინაშვილი მას საკმაოდ ვრცლად ეხება: „ეს მოტივი უშუალოდ მოგვაგონებს მცხეთის ჯვრის გუმბათისა, ან სამწვერისის ოსტატურად გაკეთებულ თაღოვან კარნიზებს. მხოლოდ ეს კია, რომ აქ სრულიად აღარაა ნახატის ოსტატობა და მკაფიობა, აღარაა ის გამოკვეთილი ფორმა, რითაც გამოირჩევა ქართული ხუროთმოძღვრების აყვავების ხანის (VI-VII ს-თა მიჯნაზე) ხსენებული ძეგლები. მაჩხანის ეკლესიის კარნიზი გარკვევით გვიჩვენებს ამ ეპოქის მოთხოვნილებათაგან დაშორებას. ამავე დროს, მასში ჩანს მისწრაფება რაღაც თავისებურის, სხვაგვარის, ამ ეპოქის კლასიკისაგან განსხვავებულის შექმნისაკენ. [...] ფორმები აქ დუნეა, თითქოს ნებისმიერაა შეცვლილი ყოველ თაღში, თანაც თაღები თითქოს შეუმჩნეველად უკავშირდება ერთმანეთს ქვაში ამოღარული ორმაგი თაღების ნახატით, რომელიც ჩალრმავებული თაღების თავზეა გატარებული“.¹

გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებით, „თუ თვით მოტივი კარნიზისა ქართული ხუროთმოძღვრების კლასიკურ ხანას მიეკუთვნება, მისი დამუშავება, განსაკუთრებით კი ამოღარული თაღები, მაჩხანის კარნიზს იმ ძეგლთა ჯგუფში აყენებს, რომელშიაც შედის ლეხურისა და ქსნის ხეობათა სამი ძეგლი – არმაზი, წირქოლი და ყანჩავეთი – ჩემ მიერ VIII და IX საუკუნეებით დათარიღებული (პირველს შერჩენილი აქვს ზუსტი თარიღიც 864 წ.)“.²

არმაზის, წირქოლისა და ყანჩავეთის კაბენის ეკლესიების არქიტექტურულ-ისტორიულ ანალიზს გ. ჩუბინაშვილმა საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა, სადაც ისინი VIII-IX საუკუნეების ძეგლებად ჩათვალა კიდევაც.³

არმაზისა და წირქოლის ეკლესიებში ნამდვილად ვხვდებით ლავგარდანის ამოღარვას.⁴ მხატვრული ეფექტის მისაღწევად ქვის ზედაპირის ამოღარვის

¹ ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 441, 446, სურ. 5. შეად. Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века, გვ. 441, 445, სურ. 5; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв., გვ. 173, 176.

² ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 442. შეად. Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века, გვ. 442; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв., გვ. 173.

³ Чубинашвили, Архитектурные памятники VIII и IX века в Ксанском ущелье, გვ. 1-30; Чубинашвили, Архитектурные памятники VIII и IX вв. в Ксанском ущелье, გვ. 141-172, ტაბ. 44-61.

⁴ არმაზი: “Карниз его [...] был весь украшен тремя бороздами, врезанными в отвесную плоскость его”; “[...] прочерчивание бороздок для оттенения форм применено в Армази, между прочим без достаточной надобности и законченности на прямоугольных плоскостях

ხერხის გამოყენებას ვხვდებით კაბენშიც.¹ გ. ჩუბინაშვილმა პირდაპირ მიუთითა არმაზისთვის დამახასიათებელი თაღების ღარებით მოხაზვის ელემენტის არსებობა სხვა თანადროულ (“этого времени”) ძეგლებში, კერძოდ, გურჯაანის ყველანაშინდასა და მანხანის ეკლესიაში.² მაგრამ, საკმარისია თუ არა ეს იმისთვის, რომ მსგავსი თუ იდენტური ხუროთმოძღვრული დეტალის მატარებელი მანხანის ეკლესიაც VIII თუ IX საუკუნეებით დავათარილოთ?

დავინყოთ დაზუსტებით, თუ როდის აიგო აღნიშნული ეკლესიები – არმაზი, წირქოლი, კაბენი.

არმაზის ეკლესია ნამდვილად თარიღდება IX საუკუნით, არმაზელი (?) მამასახლისი გიორგის სააღმშენებლო წარწერის მიხედვით (ქორონიკონის პდ / 84, ანუ, 864 წელი).³

კაბენიც, გარკვეული ალბათობით, IX საუკუნის (დასაწყისის) ძეგლი უნდა იყოს – ეკლესიის სამხრეთი კედლის გახსნისას აღმოჩნდა ფრესკული ასომთავრული წარწერა $\text{H}^{\text{I}}\text{P}\text{E}\text{C}\text{H}\text{I}\text{C}\text{H}\text{B} / \dots\text{H}\text{C}\text{P}\text{C}\text{H}\text{F} / \dots\text{C}\text{O}\dots / \dots\text{T}\text{H}$; ის შემდეგნაირად ნაკითხვს: „ნეტარი აღ[არნასეს ასულს] / ლატავ[რს] / ... თო.. / ეს ...“.⁴ ამგვარი ნაკითხვის საფუძველზე, ეს პიროვნება გააიგივეს ადარნესეს ქალიშვილთან, ლატავრთან, აშოტ კურაპალატის დასთან და ეკლესიის აგებაც, შესაბამისად, IX საუკუნის დასაწყისით, IX საუკუნის I მეოთხედით დაათარილეს.⁵

стен над четырьмя столбами [...]” (იქვე, გვ. 148, 161); წირქოლი: “[...] весь карниз храма, уцелевший в обрывках только на восточном и западном фасадах; профиль его с бороздами или валиками в гладкой поверхности совпадает с карнизом в Армази” (იქვე, გვ. 160).

¹ კაბენი: “[...] общий с Цирколи, Армази и др. подход эпохи. То же самое нужно повторить и относительно таких примитивных декоративных приемов, как прочерчивание борозд в гладких поверхностях камня, примененное в Кабени и на гранях барабана купола и в арке над входом в комнатку так же, как мы его видели в разных местах в Цирколи, в Армази, в Гурджаани и т. д. [...]” (იქვე, გვ. 169-170).

² იქვე, გვ. 152, 170.

³ იქვე, გვ. 149; Меписашвили, Цинцадзе, *Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида Картли*, გვ. 17, 19-20, სურ. 10; შოშიაშვილი (შემდგ.), *წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები*, ტ. 1, გვ. 167-168, სურ. 85, ტაბულა 61-62; ოთხმეზური, *შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა*, გვ. 129, №13.

⁴ ცინცაძე, *ქსნის ხეობის ხუროთმოძღვრული ძეგლის – კაბენის გახსნა-შესწავლის შედეგები*, გვ. 72; Меписашвили, Цинцадзе, *Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида Картли*, გვ. 28, სურ. 19; შეად. ოთხმეზური, *შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა*, გვ. 128-129, №2.

⁵ ცინცაძე, *ქსნის ხეობის ხუროთმოძღვრული ძეგლის – კაბენის გახსნა-შესწავლის შედეგები*, გვ. 72, 78-79; Меписашвили, Цинцадзе, *Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида Картли*, გვ. 28; ოთხმეზური, *შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა*, გვ. 129.

წირქოლის ეკლესიის დათარიღება ნაკლებად ცალსახაა. გვაქვს წირქოლის (ღმრთისმშობლის?) ეკლესიის ცნობილი რელიეფი¹ რომელზედაც გამოსახულია დანიელი ლომების ორმოში, ასევე, ქვედა-მარჯვენა ფილაზე, ანგელოზისა და საერო სამოსელში გამოწყობილი პირის გამოსახულებები. ამ უკანასკნელთა შორის ამოღარულია „ნუსხურნარევი ასომთავრული, კიდურნაისრული წარწერა. სიტყვები ერთმანეთისგან არაა დაცილებული; ქარაგმის ნიშანი – გრძელი, კიდურწერტილოვანი, სწორი, განივი ხაზი“.² ამ საერო ფიგურას გ. ჩუბინაშვილი ქტიტორად თვლიდა.³ ფიგურის ამგვარი, – ქტიტორად, – ინტერპრეტაცია გაიზიარა ნ. შოშიაშვილმაც; ხოლო მის გვერდით წარწერის ფრაგმენტი ნაიკთხა შემდეგნაირად: „[...] ხ/ღ შჴ/ღ/ღ“, ანუ „ლ(ე)/ო[ნ] მ(ე)ფ/ე“.⁴ ჩანს, წარწერის პალეოგრაფიული ნიშნების გათვალისწინებით, ნ. შოშიაშვილმა ეს პიროვნება დასავლურ-ქართული სახელმწიფოს მონარქად ლეონ II-დ (ლეონ III-დ, სხვა კლასიფიკაციით – ი. ფ.) მიიჩნია, ანუ, X საუკუნის მეფედ; საერთო ჯამში, პალეოგრაფიული ნიშნებითა და შინაარსით მკვლევარმა წარწერა X საუკუნით, კერძოდ, 957-967 წლების პერიოდით (ლეონის ზეობა) დაათარიღა.⁵ ნ. შოშიაშვილის მოსაზრება გაიზიარა გ. ოთხმეზურმაც.⁶ აღსანიშნავია, რომ ამ წარწერას ნ. შოშიაშვილი სააღმშენებლოდ თვლიდა;⁷ აქედან კი გამომდინარეობდა თავად ტაძრის აგების დათარიღება უკვე X საუკუნის მესამე მეოთხედით. პირა-

¹ გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს 1925 წელს ამ რელიეფების ჩამოტანას გადმოცემით წირქოლის ციხიდან. იქვე, გვ. 152.

თ. ხუნდაძე საკმაოდ დანვრილებით იხილავს ამ საკითხს. ის სამართლიანად შენიშნავს, რომ „შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს რელიეფი თავდაპირველად ციხის ეკლესიას ეკუთვნოდა“ (წირქოლის ციხე კი წირქოლის ღვთისმშობლის ეკლესიისგან დაახლოებით ნახევარ კილომეტრში მდებარეობს); თუმცა, ვინაიდან „ადგილზე დათვალიერებისას წირქოლის ციხეზე არ აღმოჩნდა ცალკე მდგარი ეკლესიის კვალი [...] სავარაუდოა, რომ თავდაპირველად ეს ფილა ციხესთან ახლო მდებარე ღვთისმშობლის ეკლესიას ეკუთვნოდა და მინისძვრის შედეგად მისი დანგრევის შემდგომ [...] იქნა მეორედ გამოყენებული ციხის წყობაში [...]“ (თ. ხუნდაძე ასაბუთებს, რომ რელიეფის ფილები კანკელის ნაწილს წარმოადგენდნენ – „კანკელი, ალბათ, ტაძრის დანგრევისას დაზიანდა, მისი გადარჩენილი ნაწილები კი თანაბრად ჩამოჭრეს და ციხის კედლის წყობაში გამოიყენეს, რასაც ადასტურებს ფილათა ნახნაგებზე შემორჩენილი კირის კვალი“ (ხუნდაძე, *ძველი აღთქმის სიუჟეტები რელიეფურ ფრაგმენტებზე წირქოლიდან*, გვ. 90).

² შოშიაშვილი (შემდგ.), *წარწერების კოორპუსი, ლაპიდარული წარწერები*, ტ. 1, გვ. 221.

³ და წარწერას კითხულობდა როგორც „ანგელოზი შეიწყალე ფეა“ (ჩუბინაშვილი, *ქართული ხელოვნების ისტორია*, გვ. 207-208).

⁴ შოშიაშვილი (შემდგ.), *წარწერების კოორპუსი, ლაპიდარული წარწერები*, ტ. 1, ტაბულა 85.

⁵ იქვე, გვ. 220-222, სურ. 143ა-143გ, ტაბულა 84-1,2, 85.

⁶ ოთხმეზური, *შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა*, გვ. 139, №15. შეად. ახალაძე, „აფხაზთა“ (ეგრის-აფხაზეთის) მეფეთა წერილობითი ძეგლები, გვ. 100-109.

⁷ შოშიაშვილი (შემდგ.), *წარწერების კოორპუსი, ლაპიდარული წარწერები*, ტ. 1, გვ. 220.

დად ჩვენ სრულად ვიზიარებთ თ. ხუნდაძის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც „ანგელოზისა და მეფის ფიგურებს შორის მხოლოდ ორი სიტყვა ‘ანგელოზი’ და ‘მეფე’ წერია“;¹ რელიეფის (სანახევროდ დაკარგულ) ქვედა ნაწილზე კი გამოსახული იყო (და ნაწილობრივ შემოგვრჩა) „სამი ყრმა ცეცხლის სახმელში მფარველ ანგელოზსა და მათ დამსჯელ მეფე – ნაბუქოდონოსორთან ერთად“.² ამრიგად, შინაარსის მიხედვით, წარწერის (და ეკლესიის) დათარიღება შეუძლებელი ხდება. ძეგლის დასათარიღებლად ეკლესიის ხუროთმოძღვრულის გარდა, გვრჩება რელიეფის ხელოვნებათმცოდნეობითი და წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი. არქიტექტურაზე დაკვირვება აფიქრებდა გ. ჩუბინაშვილს, რომ წირქოლის ეკლესია არმაზზე (ანუ, 864 წელზე) უფრო ადრე ააგეს.³ ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე თ. ხუნდაძე წირქოლის რელიეფს IX საუკუნის დასაწყისით ათარიღებს.⁴ მისი აზრით, „ამ დათარიღებას ეთანხმება წარწერის პალეოგრაფიაც“.⁵ ნ. შოშიაშვილმა კი წარწერა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პალეოგრაფიული ნიშნების, კერძოდ, „ასომთავრულში ნუსხურის შერევის“ საფუძველზე X საუკუნით დაათარიღა.⁶ ამრიგად, წირქოლის ეკლესიის დათარიღებაზე აზრთა სხვადასხვაობაა, დიაპაზონით IX საუკუნის დასაწყისიდან X საუკუნის ჩათვლით.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სამი ზემოთ მოხსენიებული ეკლესია, როგორც ჩანს, მიღებულზე რამდენადმე გვიანდელი დროით თარიღდება, არა VIII-IX საუკუნეებით, არამედ: არმაზი 864 წლის მიმდებარე ხანით; კაბენი IX საუკუნის დასაწყისით; წირქოლი – საზოგადოდ, IX თუ X საუკუნით. სხვათა შორის, ვ. ცინცაძემაც სამივე ძეგლი 820-860-იან წლებში შესრულებულ (*ერთი და იმავე ხუროთმოძღვრის*) ქმნილებებად ჩათვალა.⁷

IX თუ IX-X საუკუნეების ძეგლების იდენტური ხუროთმოძღვრული დეტალით (თაღების მოღარვა) მაჩხანის ეკლესიის შემკობა, დავუშვათ, X საუკუნეში, – შეუძლებელ მოვლენად შეიძლება არც ჩაითვალოს; რამდენად სავალდებულოა, რომ ისეთი „პრიმიტიული დეკორატიული ხერხი“, როგორიც ქვის გლუვი ზედაპირის ამოღარვაა,⁸ მაინცდამაინც *ექსკლუზიურად IX* (და არა VIII-IX) საუ-

¹ ხუნდაძე, *ძველი ალთქმის სიუჟეტები რელიეფურ ფრაგმენტებზე წირქოლიდან*, გვ. 82.

² იქვე, გვ. 82-87, სურ. 1ბ-3.

³ Чубинашвили, *Архитектурные памятники VIII и IX вв. в Ксанском ущелье*, გვ. 160-161.

⁴ ხუნდაძე, *ძველი ალთქმის სიუჟეტები რელიეფურ ფრაგმენტებზე წირქოლიდან*, გვ. 85, 89.

⁵ იქვე, გვ. 89-90.

⁶ შოშიაშვილი (შემდგ.), *წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები*, ტ. 1, გვ. 221.

⁷ ცინცაძე, *ქსნის ხეობის ხუროთმოძღვრული ძეგლის – კაბენის გახსნა-შესწავლის შედეგები*, გვ. 79-82.

⁸ “[...] относительно таких примитивных декоративных приемов, как прочерчивание борозд в гладких поверхностях камня [...]” (Чубинашвили, *Архитектурные памятники VIII и IX вв. в Ксанском ущелье*, გვ. 170).

კუნეებისთვის დამახასიათებელ მოვლენად ჩავთვალოთ, და გამოვრიცხოთ მისი გამოყენება, დაფუძვით, X საუკუნეში? თუნდაც, – ნირქოლიც რომ IX საუკუნის ძეგლად მივიჩნიოთ, – მართლაც, წინა ეპოქის ძეგლების მიბაძვით?

მაჩხანის ეკლესია პატარა, ძალიან მარტივი, დარბაზული და ერთნავიანი ტიპის ნაგებობაა, რომელიც თავისი გეგმით დიდად განსხვავდება ბევრად უფრო რთული და დახვეწილი ეკლესიებისგან, როგორცაა ნირქოლი, არმაზი, და კაბენი, რომელთაგან პირველი ორი მხოლოდ გარეგნულად, გარედან ემსგავსება მაჩხანს, სინამდვილეში კი შინაგანი გეგმარებით შეუდარებლად უფრო კომპლექსურ შენობებს წარმოადგენენ (კაბენი გარეგნულადაც განსხვავებულია).¹ იბადება მეთოდოლოგიური ხასიათის კითხვა – შეიძლება თუ არა არსებითად განსხვავებული გეგმარების მქონე ნაგებობები ყველა შემთხვევაში მივაკუთვნოთ ერთსა და იმავე ეპოქას ერთი და იგივე ზემოთ აღნიშნული „პრიმიტიული დეკორატიული ხერხის“ გამოყენების საფუძველზე? თუ (დაფუძვით) ერთი და იმავე ეპოქის ძეგლების განსხვავებულ გეგმარებას რესურსების შეზღუდულობითა თუ ხუროთმოძღვრის / დამკვეთის ნებით ავხსნით, მაშინ, თუნდაც დაახლოებით ერთი საუკუნით დაშორებულ ძეგლებში ერთი და იმავე მხატვრული ხერხის გამოყენებაც შეიძლება, ჩვენი აზრით, მიმბაძველობით, ან, სულაც, დამოუკიდებლად მიგნებით ავხსნათ.

ვთვლით, რომ მაჩხანის ეკლესიის ამოღარული ლავგარდანი არ არის საკმარისი ამ ნაგებობის IX საუკუნით დასათარიღებლად; კარნიზის ამგვარი მხატვრული გაფორმება X საუკუნეშიც დასაშვებად მიგვაჩნია. ბევრად უფრო სანდოდ მიგვაჩნია პალეოგრაფიული ანალიზის შედეგები (იხ. ზემოთ), რომელთა საფუძველზედაც მაჩხანის ეკლესიას, ქართულ-არაბული ბილინგვის ქართული ნაწილის ანალიზის საფუძველზე, უფრო X საუკუნით ვათარიღებთ.²

*

ვინ არის წარწერაში მითითებული ჰომად კიტრისძე (კიტრისძე ჰუმად ძე ბაშნისა)?

გ. ჩუბინაშვილი ჰომად კიტრისძეს „ქართლის“ ამირად თვლიდა – წარწერა გახსნილია როგორც „ადიდენ ღმერთმან ქართლისა ამირაჲსა ბედიათა – აეშენა ესე საყდარი ჰომად კიტრისძისაობასა“ (მკვლევარი წარწერის ში-

¹ Чубинашвили, *Архитектурные памятники VIII и IX вв. в Ксанском ущелье*, გვ. 141-172; ცინცაძე, *ქსნის ხეობის ხუროთმოძღვრული ძეგლის – კაბენის გახსნა-შესწავლის შედეგები*, გვ. 67-82; Меписашвили, Цинцадзе, *Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида Картли*, გვ. 17-29.

² ღიად რჩება ნირქოლის რელიეფისა და, შესაბამისად, თავად ნირქოლის ეკლესიის აგების დათარიღების საკითხი – IX თუ X საუკუნეები?

ნაარსს არ განმარტავს).¹ რუსულენოვან (პირვანდელ, 1947 წლის?) ტექსტში ნარწერა თარგმნილია როგორც “по повелению грузинского эмира Хомада Китрисдзе”;² (ამ შემთხვევაში “грузинского” ნიშნავს *ქართლის/საქართველოს*, და არა *ქართულს*). ლ. მელიქსეთ-ბეგიც ამ ისტორიულ პირს სწორედ ქართლის ამირად მიიჩნევდა: “по повелению эмира Картли Хамада Китрисдзе”.³ ამ მოსაზრებას, როგორც ჩანს, იზიარებდა თ. ბარნაველიც, ვინაიდან გ. ჩუბინაშვილის პუბლიკაციებში მოყვანილი ნაკითხვა და თარგმანი უკომენტაროდ აქვს გამეორებული.⁴

ნ. შოშიაშვილი კი, ისევე როგორც კ. დანელია და ზ. სარჯველაძე, – ჰომადის ვინაობას არ ეხებოან,⁵ და მათ მიერ მოყვანილი ნაკითხვებიდანაც შეუძლებელია დასკვნა გამოვიტანოთ, იზიარებდნენ ისინი ჩუბინაშვილის / მელიქსეთ-ბეგის / ბარნაველის მოსაზრებას, თუ არა.

ჩვენი აზრით, არ უნდა ვიფიქროთ ჰომად კიტრისძის *ამირობა* – ყოველ შემთხვევაში, ქალაქის (ქალაქ თბილისის) თუ ქართლის ამირობა, ანუ, თბილისის საამიროს სათავეში ყოფნა (ვერ გამოვრიცხავთ, რომ ის ნაკლები მასშტაბისა და მნიშვნელობის, ადგილობრივი მოხელე ამირა ყოფილიყო). მოვიყვანთ არგუმენტაციას: ბილინგვის ქართულ ნაწილში საუბარია ქართლის (თუ ქალაქის – „ქა“ შეიძლება ორნაირად გაიხსნას) ამირას „ბედით“ საყდრის (ეკლესიის) აშენებაზე, „ჰომად კიტრისძისაობასა“, ანუ, ჰომად კიტრისძის ზეობაში, მმართველობის პერიოდში. მაგრამ, არ ჩანს, რომ ჰომად კიტრისძე მაინცდამაინც *უზენაესი* მმართველი ამირა იყოს. მართალია, X საუკუნის თბილისის არაბი ამირების სია⁶ შეიძლება არასრულიც იყოს, მაგრამ, მაინც, აღსანიშნავია, რომ მათ შორის არ ჩანს არც ვინმე ჰომადი/ჰუმადი და არც ვინმე ბაშორი. რამდენად მყარიც არ უნდა ყოფილიყო თბილისის საამიროში თუ თბილისში ქართველი თუ ქართულენოვანი, თუნდაც გამუსლიმებული მმართველი ელიტის პოზიციები, მაინც, ძნელი დასაჯერებელია, რომ საამიროს სათავეში ყოფილიყო ადამიანი ქართული საგვარეულო სახელით.

¹ ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. *ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის*, გვ. 442.

² Чубинашвили, *К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века*, გვ. 442; Чубинашвили, *К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв.*, გვ. 174.

³ Меликсет-Бек, *Рельефы руки*, გვ. 115-116.

⁴ ბარნაველი, *მაჩხანის ეკლესიის ნარწერები*, გვ. 649-650; Барнавели, *Надписи маханской церкви*, გვ. 650.

⁵ შოშიაშვილი (შემდგ.), *ნარწერების კორპუსი, ლაპიდარული ნარწერები*, ტ. 1, გვ. 225; დანელია, სარჯველაძე, *ქართული პალეოგრაფია*, გვ. 49-50.

⁶ ლორთქიფანიძე, *თბილისის საამიროს ისტორიიდან*, გვ. 196-197, 200.

იგივე დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა წარწერის შინაარსიც. ჩვენი აზრით, წარწერის (ქართული ნაწილის) მნიშვნელობა შემდეგნაირია: ის იწყება პრემბულით – ჯვრის ნიშნით (sic), რომელსაც მიჰყვება სტანდარტული ფორმულა ღმრთისა და წმინდანის მოხსენიებით – „† სახ(ე)ლი(თ)ა ღ(მრ)თ(ისაჲთ)ა, მე(ო)ხ(ე)ბ(ი)თა წ(მიდის)ა თ(ევდო)რ(ეს)ი(თ)ა“ (აქედან, ბუნებრივია, გამომდინარეობს, სხვათა შორის, რომ ეკლესია *თავდაპირველად მაინც* წმ. თევდორეს სახელზე იყო აგებული). შემდეგ მოდის, ასე ვთქვათ, რევერანსი უზენაესი მმართველის – *ქართლისა თუ ქალაქის* (ანუ, აშკარად, *თბილისის, უზენაესი*) ამირას მისამართით (რომელსაც გულისხმობს მომდევნო სიტყვები) – „ად(ი)დ(ე)ნ ღ(მერ)თ(მან)“; შემდეგ კი კონკრეტული ფაქტია აღნიშნული (ვიზიარებთ კ. დანელიასა და ზ. სარჯველაძის პუნქტუაციას და შესაბამის აზრობრივ ნიუანსირებას): „ქ(ართლის)ა ამ(ირაჲ)სა ბედჲთა აეშენა ესე საყდარი“; ამ კონტექსტში სიტყვის „ბედჲთ“ მნიშვნელობას წინარე მკვლევრები არ შეხებიან. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში „ბედჲ“ / *ბედი* აშკარად გამოყენებულია არა *სვეს*, არამედ *განგების* მნიშვნელობით (შეად. *ღვთის განგებით*) – სახეზეა ერთგვარი სემანტიკური დრეიფი; ჩვენი აზრით, ეკლესია აეშენა ამირას *განგებით*, ანუ, *ბრძანებით* (დასტურით). წარწერის ბოლოსწინა ნაწილში აღნიშნულია, რომ საყდარი აეშენა ვინმე *ჰომად კიტრისძის მმართველობის პერიოდში* (იმ ტერიტორიასა და დროში, სადაც და როდესაც აეშენა ეკლესია). წარწერა ბოლოვდება სტანდარტული ვედრებით – ამ ადგილობრივ გამგებელს, ანუ, *ჰომად კიტრისძეს უფალმა შეუწდოს ცოდვანი*. აღსანიშნავია, რომ წარწერა უფალს ორჯერ მიმართავს – ვედრებით „ად(ი)დ(ე)ნ“ და „შეონდვ(ე)ნ ც(ო)დ[ვანი]“; გასაგებია, რომ ამ ორი ესოდენ განსხვავებული მიმართვის ობიექტიც ორი განსხვავებული პირია, იქვე ნახსენები, შესაბამისად, *ქართლის / ქალაქის ამირა*, და *ჰომად კიტრისძე*. გასაგებია, რომ უფლისგან განდიდებას ითხოვენ უზენაესი მონარქისთვის, არაბი ამირასთვის; ხოლო ადგილობრივი მმართველისთვის, ჰუმადისთვის, *მოკრძალებულად* ცოდვების შენდობას ევედრებიან.

დავასკვნით: ჰუმად/ჰომად ძე ბაშორისა კიტრისძე არის ისტორიული პირი, რომელიც მოღვაწეობდა X საუკუნეში, ან, იქნებ, XI საუკუნის I ნახევარში. მას საერთო არაფერი აქვს IX საუკუნის შუაწლებში მოღვაწე გარდმანის პატრიკიოს ალ-კიტრიჯთან. ჰუმადის საგამგებლო თუ საკუთრებაში მყოფ ტერიტორიაში შედიოდა თბილისის საამიროს ფარგლებში შემავალი დიდმის ხეობა. ეთნიკურად, თუ, წარმოშობით მაინც, ის ქართველი იყო, ქართული საგვარეულოს – *კიტრისძეების* წარმომადგენელი. (მმართველი ელიტის მხრივ მაინც) მუსლიმურ-არაბული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამოჭრილი ბილინგვის *უმეტესი* ნაწილის ქართულენოვნიობიდან გამომდინარე, *ჰუმად*

ბაშირის ძე კიტრისძე, შესაძლოა, თავადაც ქართველენოვანი იყო, ანუ, ქართველურ კულტურულ წრეს/აც ეკუთვნოდა; თუმცა, ონომასტიკით, საკუთარი (*ისმი*) და მამის სახელით (*ნასაბი*) თუ ვიმსჯელებთ, (საფიქრებელია, თავის წრესთან ერთად) არაბული კულტურის ზეგავლენასაც განიცდიდა. შესაძლებელია, მუსლიმიც ყოფილიყო.¹ ასე თუ ისე, მისი მხარდაჭერით თუ არა, თანხმობით მაინც, ისევე როგორც თბილისის ამირას ბედიო, ჰუმადზე დამოკიდებულ და თბილისის საამიროს ფარგლებში შემავალ ტერიტორიაზე ჩნდება ქრისტიანული რელიგიური ნაგებობა.

მუსლიმური სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მუსლიმური თბილისის სიახლოვეს ქრისტიანული ეკლესიის აგება მმართველი მუსლიმური ელიტის ტოლერანტობაზე მიუთითებს, ან/და, ადგილობრივი ქრისტიანული თუ ქართული ლობის, ძალების სიძლიერეზე (?); შესაძლოა, იმ პოტენციური საფრთხის ანარეკლიც იყოს, რომელიც მეზობელი გაძლიერებული ქრისტიანული სახელმწიფოებისგან იგრძნობოდა.

სამწუხაროდ, შეუძლებელია იმის თქმა, ჰუმად ბაშირის ძე კიტრისძე თბილისის ამირას ხელდასხმული მოხელეა, თუ ადგილობრივი ფეოდალი, რომლის გვარიც დიღმის ხეობას მემკვიდრეობით ფლობს. სამწუხაროდ, თბილისის საამიროს ტერიტორიულ მონყობაზე არაფერი ვიცით. სავსებით დასაშვებია, რომ მინაზე მფლობელობასა და საგამგებლო უფლებებს ინარჩუნებდნენ ადგილობრივი წარჩინებულნი, ფაქტიურად, ფეოდალები (?). ასე თუ ისე, ჰუმად კიტრისძის ქართული საგვარეულო სახელიდან გამომდინარე, ის აშკარად ადგილობრივი სახელისუფლებო ელიტის წარმომადგენელია.²

ბილინგვის ისტორიული ანალიზი ნაკლები იქნებოდა მაჩხანის მესამე წარწერის განხილვის გარეშე.

¹ თბილისში ქართველებისა და არაბების ეთნიკური სინთეზი მიმდინარეობდა; ვიცნობთ მუსლიმ მოღვაწეებს ნისბით *ალ-ქურჯე*, *ქართველი* (სიხარულიძე, *ას-სამ'ანის ცნობები საქართველოს შესახებ*, გვ. 47-53).

² საფიქრებელია, იმავე, (ადგილობრივ) ხელისუფლებაში მყოფ პირთა წრეს მიეკუთვნებინან ალმაოტისძენიც, რომლებიც თეთრინყაროს რაიონში, ანუ თბილისის საამიროს ტერიტორიაზე (?) ეკლესიას აშენებენ (გელაშვილი, გოგოლაძე, *X-XI საუკუნეების უცნობი წარწერა*, გვ. 180-187). წარწერა, პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე, *X-XI საუკუნეებით* (ანუ, ფაქტიურად, არაბობის ეპოქით) თარიღდება (იქვე, გვ. 184-185). გვარის ფორმა (*ალ-ფორმანტი* დაწყება?) არ გამოორიცხავს მის კავშირს არაბულ ენასთან (მოსაზრება პირად საუბარში თამაზ გოგოლაძემ გაგვიზიარა).



სურ. 3ა (Fig. 3a)

+ს̄რ̄ბ̄ი̄ტ̄პ̄ა̄ტ̄ა̄
 რ̄ყ̄ა̄ტ̄რ̄ტ̄პ̄ა̄ტ̄ყ̄
 ო̄ტ̄რ̄ლ̄ა̄ტ̄ჟ̄ა̄ტ̄
 ტ̄ყ̄ა̄ტ̄ს̄ა̄ტ̄ტ̄
 ჟ̄ა̄ტ̄ყ̄ა̄ტ̄ყ̄ა̄ტ̄
 ს̄ა̄ტ̄ყ̄ა̄ტ̄ა̄ტ̄
 ყ̄ა̄ტ̄ა̄ტ̄ა̄ტ̄ა̄ტ̄
 ა̄ტ̄ა̄ტ̄ა̄ტ̄ა̄ტ̄

სურ. 3ბ (Fig. 3b)

ნარწერა III (ქართული მონოლინგვა) (სურ. 3ა, 3ბ). ამოჭრილია აღმო-საველეთის კედელში სარკმლის მაგვირგვინებელი ქვის მარჯვენა ფრთაზე. ექ-სკლუზიურად ქართულენოვანია; შესრულებულია ნუსხურნარევი ასომთავ-რულით. ბილინგვის მსგავსად, მონოლინგვაც ამოღარულია, მაგრამ შედა-რებით ზედაპირული კვეთით. ნარწერა, საზოგადოდ, საკმაოდ დაუდევრადაა შესრულებული, გრაფემები არათანაბარი ზომისაა და არათანაბარ სიმაღლე-ზეა, ორხაზოვანი სანერი ბადე დარღვეულია. აღსანიშნავია, რომ განკვეთის ნიშნები საერთოდ არ არის ნახმარი, თუმცა ნარწერის ბოლოს მისი დასრულე-ბის ტექნიკური ნიშანია – ორწერტილი შუაში ჰორიზონტალური ხაზით. ნარ-წერა საკმაოდ კარგად არის შენახული, თუმცა აღინიშნება ბიოდაზიანებაც.

მონოლინგვა პირველმა საფუძვლიანად თ. ბარნაველმა შეისწავლა, 1962 წელს (გადმონაწერი მეტ-ნაკლებად დედნის შრიფტით, წაკითხვა, ფოტო).¹ 1980 წელს ნარწერას დაუბრუნდა ნ. შოშიაშვილი (გადმონაწერი დედნის შრიფტით, წაკითხვა გახსნილი ქარაგმების მითითებით, გრაფიკული მონა-ხაზი, ახალი ფოტოები); ამასთანავე, რამდენიმე სიტყვა ნარწერის ბოლოში სხვანაირად წაკითხა.² ბოლოს, 1997 წელს, ნარწერა განიხილეს კ. დანელი-ამ და ზ. სარჯველაძემ (გადმონაწერი მხედრული შრიფტით, წაკითხვა გახ-სნილი ქარაგმების მითითებით); მათ შენიშნეს, რომ „ნარწერის წაკითხვის ნაწილი საეჭვოა“.³ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღ-წერილობაში გაზიარებულია თ. ბარნაველის წაკითხვა.⁴ აღსანიშნავია, რომ სამივე ვერსიის ფარგლებში ამ რვასტრიქონიანი მონოლინგვის ქვედა 4-ნ სტრიქონი სხვადასხვანაირადაა წაკითხული (იხ. ცხრილი 2):

1. მე-5-6 სტრიქონებში ႠႡ / ႠႡႠ კომპლექსს თ. ბარნაველი კითხუ-ლობდა როგორც სახელს „გ(უ)ლ-საბ“ / („გ(ე)ლს(ა)ბ“?); ნ. შოშიაშვილი, რო-გორც „გ(უ)ლს(ურ)აბ“; კ. დანელიამ და ზ. სარჯველაძემ თავი შეიკავეს ქა-რაგმების გახსნისაგან;

2. მე-6 სტრიქონში თ. ბარნაველმა Ⴁ ამოიკითხა როგორც Ⴁ, ჯვრისმაგ-ვარი ნიშანი წაკითხა არა როგორც ჯვარი, არამედ როგორც გრაფემა Ⴁ, და ბოლოსწინა გრაფემა წაკითხა როგორც Ⴁ; ამის საფუძველზე მე-5 სტრიქო-ნის დასასრული, მე-6 სტრიქონი და მე-7-ს დასაწყისი გახსნა როგორც „გ(უ) ლ- / საბ(ი)საჲ; ქა(ლაქი)სა უ(ფლო)- / ბ(ას)ა“. ნ. შოშიაშვილმა ამოიკითხა Ⴁ (და არა Ⴁ), ჯვრისმაგვარი ნიშანი გრაფემად არ ჩათვალა, ხოლო ბოლოსწინ-ა გრაფემა კი ჩათვალა Ⴁ-ად; ამის საფუძველზე ტექსტის იგივე მონაკვეთი

¹ ბარნაველი, *მაჩხანის ეკლესიის ნარწერები*, გვ. 650-652.

² შოშიაშვილი (შემდგ.), *ნარწერების კორპუსი, ლაპიდარული ნარწერები*, ტ. 1, გვ. 225-226, ტაბულა 87-3,4.

³ დანელია, *სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია*, გვ. 50.

⁴ გვეტაძე, ზაქარაია, *მაჩხანის ეკლესია*, გვ. 277.

მან წაიკითხა როგორც „გ(უ)ლ- / ს(ურ)აბ(ი)სა(?) ლ. † ას(ა)ნო- / ბ(არს)ა(?)“; როგორც ჩანს, გულისხმობდა, რომ წარწერა დათარიღებულია მითითებული პირის ხელისუფლობის 30-ე წელიწადით; მკვლევარს სიტყვა *ასანობარი* განმარტებული არა აქვს. კ. დანელია და ზ. სარჯველაძე მიემხრნენ ნ. შოშიაშვილის წაკითხვას, ოღონდ, ამ შემთხვევაში ასომთავრული ტექსტის მხედრულ ტრანსკრიფციაში დამატებით მოათავსეს „სა“, ხოლო მხედრულ წაკითხვაში კი „აღ(?)“ (მცდარბეჭდილი?); ჯვრისმაგვარი ნიშანი კი მათ ჩათვალეს გრაფემად **†**, კერძოდ, „ქ(რისტე)“-ს მხოლოასოიან დაქარაგმებად; შესაბამისად, მიიღეს წაკითხვა „გულს- / სა აღ(?) ქ(რისტე), ასწო- / ბწა“;

3. მე-7 სტრიქონში თ. ბარნაველმა წაიკითხა ორი გრაფემა **Π**, და ვინაიდან წინამდებარე ტექსტი წაკითხული ჰქონდა როგორც „ქა(ლაქი)სა უ(ფლო)- / ბ(ას)ა ამ(ირაჟ)ს(ა)“ ეს ადგილი ამ ამირის სახელად ჩათვალა და მიიღო სხვა წყაროებით უცნობი *ამირა ღვაგარი*. ნ. შოშიაშვილმა კი ამ ადგილას წაიკითხა ერთადერთი გრაფემა (**ხ**) და, წინარე წაკითხვიდან გამომდინარე ეს ადგილი გახსნა როგორც „ამ(ი)ს ღავრი- / [სა]“. კ. დანელია და ზ. სარჯველაძე დაეთანხმნენ ნ. შოშიაშვილს.

ადგილზევე თავად წარწერის, გადაღებული ფოტოებისა და გაკეთებული პალეოგრაფიული პირის შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია ვამტკიცოთ შემდეგი:

მე-6 სტრიქონში მე-6 პოზიციაში ნამდვილად არის **ხ** და არა **π**; მომდევნო ჯვრისმაგვარი ნიშანი უფრო გრაფემა **†** გვგონია, რადგან მომდევნო ასონიშანი ქარაგმის ნიშნის ქვეშაა (ნაკლებ მოსალოდნელია, რომ ახალი სიტყვის პირველივე გრაფემა ქარაგმის ქვეშ ყოფილიყო; საფიქრებელია, რომ ქარაგმის ნიშანი სიტყვის შუაშია, ანუ წინა, **†** ნიშანიც ამ სიტყვის ნაწილია, ე. ი., გრაფემაა, და არა ჯვარი); იმავე სტრიქონში ბოლოსწინა გრაფემა არის არა **Σ** (ა) და არა **Η** (ნ), არამედ **Γ** (ც). ანუ, **†**-ის შემდეგ ასოთა კომპლექსი არის არა „-ასა ო-“ (თ. ბარნაველი), არა „ასნო-“ (ნ. შოშიაშვილი), არამედ „ასცო“ (რომლის მნიშვნელობაც გაურკვეველი რჩება).

მე-7 სტრიქონში მე-7 პოზიციაში ნამდვილად არის **ხ**, და არა **Π** კომპლექსი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, განკვეთილობის ნიშნების არარსებობის მიზეზითაც, მე-6-7 სტრიქონების შინაარსის ამოკითხვას ვერ ვახერხებთ; არ ვართ სრულად დარწმუნებულნი მე-4 და მე-5 სტრიქონებში „დიდგორის ჴევისუფლობის“ ამოკითხვის სისწორეშიც (ის, რაც ჩვენ წაკითხეთ, წარმოდგენილია ცალკე ცხრილის სახით; იხ. ცხრილი 3).¹

¹ ყოველ შემთხვევაში, დღეისთვის უკვე შეუძლებელია თ. ბარნაველის მოსაზრების გაზიარება: „ჩამოთვლილ პირთა თანამდებობათა მიხედვით, ეს წარწერა პირველი

საქართველოში არაბობის ისტორიის საკვლევად მაჩხანის წარწერების მნიშვნელობის კუთხით, მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მონო-ლინგვაში „ქალაქის ამირა ღაჯარის“ მოხსენიება, და, საზოგადოდ, არსებობა გამოირიცხა.¹

ჩვენი კვლევისთვის აქტუალურია ასევე მონოლინგვის დათარიღების, ბილინგვასთან მისი ქრონოლოგიური მიმართების საკითხიც.

გ. ჩუბინაშვილის მიხედვით, მონოლინგვა „დამწერლობის მხრივ“ ბილინგვას „ემთხვევა. თუმცა ნაკლებ მკაფიოდ და ნაკლებ ღრმადაა ამოკვეთილი და ასოებიც დაქანებულია“.²

თ. ბარნაველია აღნიშნა, რომ „ასოთა დაწერილობის მიხედვით იმავე მანერითაა შესრულებული, როგორცაც პირველი წარწერა, ოღონდ შედარებით დაუდევრადაა ამოკვეთილი, ასოები არათანაბარია“.³ მკვლევარმა დაწვრილებით განიხილა ორივე წარწერის გრაფემების მოყვანილობა და შესაბამისი პალეოგრაფიული ტაბულაც შედგინა.⁴ მან დაასკვნა, რომ „ორივე წარწერა, თუმცა სხვადასხვა ხელითაა შესრულებული, მაინც ერთსა და იმავე ხანას და პალეოგრაფიულ წრეს ეკუთვნის“. ოღონდ, მონოლინგვა, „გარდა იმისა, რომ ერთგვარად დაუდევრად დაწერილის შთაბეჭდილებას ახდენს, შესრულებულია უფრო გაკრული ხელით, ასოთა მონახაზის მკვეთრი გადახრით ნუსხური დამწერლობისკენ“.⁵

ნ. შოშიაშვილი კი თვლიდა, რომ ორივე წარწერა, „როგორც ჩანს, ერთი-დაიმავე ხელოსნის მიერაა ამოკვეთილი“; მისი არგუმენტაცია შემდეგნაირი იყო: 1) „ზოგიერთი გრაფემის თავისებური, იდენტური მოხაზულობა ორივე წარწერაში (მაგ. **Ⲡ** **ⲛ**)“; 2) „მიდრეკილება გაკუთხოვნება-განუსხურებისაკენ“; 3) „ორივე წარწერაში გვხვდება მხედრულის მსგავსი მ“; 4) „ერთნაირი უნესო დაქარაგმება ცალკეული სიტყვებისა“.⁶ ამასთანავე, ნ. შოშიაშვილი აღიარებს, რომ „ხელოსანს მაინც ერთმანეთისგან განსხვავებული წერის მანერით ამოუკვეთავს ეს ორი წარწერა“: 1) ზოგიერთი გრაფემა „განსხვა-

წარწერის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს და ამ ორ წარწერაში ნათლადაა ასახული საერო ხელისუფალთა იერარქიული საფეხურები: ქართლის ამირა, ჯევისუფალი, ქალაქის უფალი (ამირა)“ (ბარნაველი, *მაჩხანის ეკლესიის წარწერები*, გვ. 652).

¹ აქედან გამომდინარე, შესატანია ცვლილებები V-X საუკუნეების ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში მიღებული დაქარაგმების ცნობარშიც (ჭანკიევი, *დაქარაგმება V-X სს. ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში*, გვ. 118, 126-127).

² ჩუბინაშვილი, *VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის*, გვ. 444.

³ ბარნაველი, *მაჩხანის ეკლესიის წარწერები*, გვ. 650.

⁴ იქვე, გვ. 652-655.

⁵ იქვე, გვ. 653.

⁶ შოშიაშვილი (შემდგ.), *წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები*, ტ. 1, გვ. 224.

ვებულის მოყვანილობისაა“; 2) განკვეთის ნიშნად ბილინგვაში ნახმარია ორნერტილი ან სამნერტილი, მონოლინგვაში კი ის „მხოლოდ ერთ ადგილზე ჩანს (პირვ. სტრ-ში)“;¹ სამაგიეროდ წარწერა ბოლოვდება ტექსტის დასრულების ტექნიკური ნიშნით – „ორნერტილით, შუაში გავლებული ხაზით“; 3) განსხვავებულია გამოყენებული ქარაგმის ნიშანი.²

კ. დანელიასა და ზ. სარჯველაძეს ბილინგვისა და მონოლინგვის სინქრონულობის თაობაზე მოსაზრება არ გამოუთქვამთ.³

ჩვენი აზრით, წარწერები ერთი და იგივე ხელოსნის მიერ შესრულებული არ უნდა იყოს; თ. ბარნაველის შედგენილი ტაბულისა და თავად წარწერების *de visu*, ფოტოებითა თუ გრაფიკული პირებით შესწავლა გვარწმუნებს იმაში, რომ მსგავსებას მხოლოდ თითო-ოროლა გრაფემა თუ ამჟღავნებს, მათი უმრავლესობა კი პირიქით, – საკმაოდ განსხვავებულად არის ამოღარული. მართალია, რომ ორივე წარწერა ავლენს „მიდრეკილებას გაკუთხოვნება-განუსხურებისაკენ“, მაგრამ მხოლოდ ამის საფუძველზე მათი მაინცდამაინც ერთი და იმავე ხელოსნისადმი მიკუთვნება არალოგიკურია; მსგავსად ამისა, „მხედრულის მსგავსი მ“ ძალიან ბევრ, სხვადასხვა ხელოსნის მიერ ამოჭრილ წარწერაში შეიძლება შეგვხვდეს. რაც შეეხება „ცალკეული სიტყვების“ „ერთნაირ უწესო დაქარაგმებას“, უწესობის ხარისხს თუ მივამსგავსებთ ერთმანეთს, თორემ თავად სიტყვები განსხვავებულადაა დაქარაგმებული – შევადაროთ ერთმანეთს მაგალითად, როგორ არის გადმოცემული *თევდორე* და *საყდარი*. საზოგადოდ, გაუგებარია, ერთი და იგივე ხელოსანს განკვეთილობის ნიშნების გამოყენებისადმი ესეთი განსხვავებული მიდგომა რატომ უნდა ჰქონოდა; ან, ასეთ განსხვავებულ ქარაგმის ნიშნებს, ანდა განსხვავებული ზომისა და დახრილობის გრაფემებს რატომ ამოღარავდა? საზოგადოდ, რატომ არის ეს ორი წარწერა ესოდენ განსხვავებული *ხელით* და *წერის მანერით* შესრულებული? დარწმუნებულნი ვართ, რომ მაჩხანის ბილინგვა და მონოლინგვა სხვადასხვა ადამიანის ნახელავს წარმოადგენს; ორივე წარწერა, როგორც ამას თ. ბარნაველი ფიქრობდა, შესაძლოა მართლაც „ერთსა და იმავე ხანას და პალეოგრაფიულ წრეს“ ეკუთვნოდეს.⁴ თუმცა, „ხანა“ ფართო ცნებაა; ვერ გამოვრიცხავთ, რომ წარწერები ერთმანეთს დროში რამდენიმე ათეული წლითაც კი (ან მეტი ხნით?) იყოს დაშორებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ბილინგვაში მოიხსენიება მხოლოდ *წმიდა თეოდორე*, მონოლინგვაში კი ასევე დამატებით *წმიდა ღმრთისმშობელიც*. ჩვენი აზრით, ეს ამ წარწერების სხვადასხვა დროს

¹ სინამდვილეში, იქაც არ არის.

² იქვე.

³ დანელია, სარჯველაძე, *ქართული პალეოგრაფია*, გვ. 49-50.

⁴ ბარნაველი, *მაჩხანის ეკლესიის წარწერები*, გვ. 653.

ამოღარვაზე მიუთითებს. თუმცა, ამ ეტაპზე, ვერ ვაზუსტებთ, ამ ორ წარწერას ერთმანეთისგან დროის თუ რამხელა შუალედი აშორებს.

მონოლინგვა, როგორც ნაკლებ თვალსაჩინო ადგილას ამოჭრილი, ბილინგვაზე უფრო გვიანდელი უნდა იყოს.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ მაჩხანის ეკლესიის წარწერები (ქართულ-არაბული ბილინგვა და ქართული მონოლინგვა) არა მარტო საქართველოს ეპიგრაფიკული წარსულის თვალსაჩინო კომპონენტია, არამედ ეპოქის, კერძოდ, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიისა და საქართველოში არაბობის ისტორიის საკვლევად უძვირფასეს ძეგლს, თავისებურ, მაგრამ მეტად ობიექტურ პირველწყაროს წარმოადგენს.

მაჩხანის ეკლესიის წარწერების კვლევის საფუძველზე დავასკვნით:

1. სამხრეთ კედელზე არსებული ერთ-ერთი წარწერა (გამოსახულება) დღეისთვის განადგურებულია (მიზეზი უცნობია); საყურადღებოა, რომ გადაარჩა იმავე კედელსა და ქვაზე მდებარე ვრცელი ქართულ-არაბული ბილინგვა; მხოლოდ არაბულ ნაწილზე ორი ჯვარედინა ნაჩეხია; ხელუხლებელია ჯვრის გამოსახულებაც;

2. ბილინგვის დათარიღება IX საუკუნის შუანლებით გაუმართლებელია; არ არსებობს *მყარი* არგუმენტი ამგვარი დათარიღების სასარგებლოდ; პალეოგრაფიული ანალიზით წარწერა თარიღდება X საუკუნით (X საუკუნის II ნახევრით?), ან, სულაც, XI საუკუნის დასაწყისით თუ I ნახევრით;

3. ბილინგვა, დიდი ალბათობით, მაჩხანის ეკლესიის აგების თანადროული ეპიგრაფიკული ძეგლია;

4. აქედან გამომდინარე, მაჩხანის ეკლესიის აგებაც აქამდე მიღებულზე უფრო გვიანდელი პერიოდით თარიღდება – X საუკუნით (X საუკუნის II ნახევრით?), ან, სულაც, XI საუკუნის დასაწყისით თუ I ნახევრით;

5. ამრიგად, მაჩხანის ეკლესიის ხუროთმოძღვრული თავისებურებები არ წარმოადგენს საფუძველს მსგავსი ხუროთმოძღვრული ძეგლები მაინცდამაინც VIII-IX საუკუნეებით დათარიღდეს, როგორც ეს ადრე იყო მიღებული; ეს ხუროთმოძღვრული ნიშნები დამახასიათებელია უფრო გვიანდელი ნაგებობებისთვის/აც;

6. მაჩხანის ეკლესია თბილისის (ქართლის / ქალაქის) ამირას *ბედით* (*განგებით*) აშენდა;

7. თბილისის საამიროს ტერიტორიაზე X საუკუნესა (X საუკუნის II ნახევარში?), ან, სულაც, XI საუკუნის დასაწყისში ეკლესიის აგება მიუთითებს თბილისის მმართველი მუსლიმური ელიტის რელიგიურ ტოლერანტობაზე;

ან/და, ადგილობრივი (ქართულ-) ქრისტიანული ლობის შესაძლებლობებზე; ან/და, მოახლოებულ-გაძლიერებული მეზობელი ქრისტიანული სახელმწიფოებიდან გამომდინარე საგარეო-პოლიტიკურ საფრთხეზე;

8. ბილინგვა და მონოლინგვა სხვადასხვა ხელოსნის ამოჭრილია;

9. მაჩხანის ნარნერები, გარკვეული ალბათობით, ერთსა და იმავე ეპოქას ეკუთვნის, მაგრამ მათი ამოღარვა შეიძლება რამდენიმე ათწლეულის შუალედითაც კი განხორციელებულიყო;

10. ქართული მონოლინგვის შინაარსი სანახევროდ გაურკვეველი რჩება;

11. არ დასტურდება მონოლინგვაში „ქალაქის ამირა ღაფარის“ მოხსენიება, და, შესაბამისად, არსებობაც;

12. ბილინგვის არაბულ ნაწილში მოხსენიებული ჰუმად (ჰომად) ბ. ბაშნ და ქართულ ნაწილში მოხსენიებული ჰომად კიტრისძე ისტორიული პირია, რომელსაც ერქვა ჰომად/ჰუმად ბაშნის ძე კიტრისძე;

13. ჰომად/ჰუმად ბაშნის ძე კიტრისძე მოღვაწეობდა X საუკუნესა (X საუკუნის II ნახევარში?), ან, სულაც, XI საუკუნის დასაწყისში, და მას საერთო არაფერი აქვს IX საუკუნის შუაწლებში მოღვაწე გარდმანის პატრიკოს ალ-კიტრიჯთან;

14. ჰომად/ჰუმად ბაშნის ძე კიტრისძე არ იყო თბილისის (ქართლისა თუ ქალაქის) ამირა; საფიქრებელია, დიღმის ხეობის ადგილობრივი გამგებელი იყო;

15. უცნობია, ჰომად/ჰუმად ბაშნის ძე კიტრისძე შესაბამის ტერიტორიას მემკვიდრეობით, მამულად ფლობდა, თუ თბილისის ამირას ხელდასხმული მოხელე იყო (საზოგადოდ, უცნობია, თუ როგორ იყო ორგანიზებული თბილისის საამიროში შემავალი ტერიტორიების მართვა, როგორი იყო მინათმფლობელობის წესი);

16. ქართული საგვარეულო სახელიდან გამომდინარე, ჰომად/ჰუმად ბაშნის ძე კიტრისძე, წარმოშობით მაინც, ადგილობრივ, ქართულ არისტოკრატიას ეკუთვნოდა; გამოვლინდა კიდევ ერთი ქართული დიდგვაროვანი კლანი – კიტრისძეები; ჯერჯერობით ცნობილია ამ საგვარეულოს ორი წარმომადგენელი – თავად ჰომადი და მამამისი ბაშნრი;

17. ბილინგვა უმეტესად ქართულენოვანია, რაც მიუთითებს ადგილობრივად კვლავაც ქართული ენის დომინირებაზე, თბილისში არაბების იმ დროისთვის უკვე რამდენიმესაუკუნოვანი ბატონობის მიუხედავად; დიდია ალბათობა, რომ ჰომად/ჰუმად ბაშნის ძე კიტრისძე ქართულენოვანობას პირადადაც ინარჩუნებს;

18. ფაქტია, რომ ჰომად/ჰუმად ბაშნის ძე კიტრისძე და მისი გვარი არაბულ კულტურულ ზეგავლენას განიცდიან, რასაც ადასტურებს ამ პირის

არაბული *ისმი* და *ნასაბი*; სავსებით შესაძლებელია, რომ ჰომად/ჰუმად ბაშირის ძე კიტრისძე მუსლიმი ყოფილიყოს;

19. ჰომად/ჰუმად ბაშირის ძე კიტრისძის სახით, როგორც ჩანს, გამოვლინდა ისტორიულ პირთა თავისებური და სახასიათო სოციალურ-კულტურული ჯგუფი: თბილისის საამიროს სამსახურში ჩამდგარი და არაბული კულტურის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული, შესაძლოა, გამუსლიმებული ქართველი დიდგვაროვნები, რომლებიც X საუკუნისა (X საუკუნის II ნახევარში?), ან, სულაც, XI საუკუნის დასაწყისის მდგომარეობით, შესაძლოა, ჯერ კიდევ მაინც ინარჩუნებენ ქართულ ენას.

მადლობას მოვახსენებთ განეული დახმარებისთვის თამაზ გოგოლაძესა და დავით სილაგავას.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

ახალაძე, „აფხაზთა“ (ეგრის-აფხაზეთის) მეფეთა წერილობითი ძეგლები – ახალაძე ლ., „აფხაზთა“ (ეგრის-აფხაზეთის) მეფეთა წერილობითი ძეგლები, „რინა. საზოგადოებრივ-სალიტერატურო ჟურნალი“, 3, 2021, გვ. 100-109.

ახალაძე, ხუაფის წარწერა – ახალაძე ლ., *ხუაფის წარწერა და აფხაზ მეფეთა ტიტულატურის საკითხი*, აბ, 2-3, 1999, გვ. 62-67.

ბარნაველი, მაჩხანის ეკლესიის წარწერები — ბარნაველი თ., *მაჩხანის ეკლესიის წარწერები*, სმამ, ტ. XXIX, 5, 1962, გვ. 649-655.

გვეტაძე, ზაქარაია, მაჩხანის ეკლესია – გვეტაძე ჯ., ზაქარაია პ., *მაჩხანის ეკლესია*, ნიგნში: სიკძა, 5, თბილისი, 1990, გვ. 277.

გელაშვილი, გოგოლაძე, X-XI საუკუნეების უცნობი წარწერა – გელაშვილი ი., გოგოლაძე თ., *X-XI საუკუნეების უცნობი წარწერა მოხისის სამების ეკლესიიდან*, „მრავალთავი“, 25, 2017, გვ. 180-187.

დანელია, სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია – დანელია კ., *სარჯველაძე ზ., ქართული პალეოგრაფია*, თბილისი, 1997.

ლორთქიფანიძე, თბილისის საამიროს ისტორიიდან – ლორთქიფანიძე მ., *თბილისის საამიროს ისტორიიდან*, იპიპ, ტ. II, 1951, გვ. 185-201.

ოთხმეზური, შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა – ოთხმეზური გ., *შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა*, კრებულში: „ოსთა საკითხი“, გორი-თბილისი, 1996, გვ. 126-156.

სალარაძე, მაჩხანი – სალარაძე შ., *მაჩხანი*, ნიგნში: მსმ, 6, კოქტო-მინკუსი, თბილისი, 1983, გვ. 510.

სილოგავა, დასავლეთ საქართველოს X-XVIII სს. ქართული ლაპიდარული წარწერები – სილოგავა ვ., *დასავლეთ საქართველოს X-XVIII სს. ქართული*

ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო, სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1972.

სილოგავა, კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა – სილოგავა ვ., კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა, თბილისი, 1994.

სილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა – სილოგავა ვ., სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, თბილისი, 2006.

სილოგავა (შემდგ.), ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II – სილოგავა ვ. (შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა), ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.), თბილისი, 1980.

სიხარულიძე, ას-სამ'ანის ცნობები საქართველოს შესახებ – სიხარულიძე ე., ას-სამ'ანის ცნობები საქართველოს შესახებ, ნიგნში: სიამ, ნიგნი I, რედაქტორი ვ. გაბაშვილი, თბილისი, 1976, გვ. 45-53.

შოშიაშვილი (შემდგ.), ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I – შოშიაშვილი ნ. (შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა), ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), თბილისი, 1980.

შუბითიძე, ქართული ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები – შუბითიძე ვ., ქართული ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები, თბილისი, 2012.

ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის – ჩუბინაშვილი გ., VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, სმამ, ტ. XIII, 7, 1952, გვ. 441-447.

ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია – ჩუბინაშვილი გ., ქართული ხელოვნების ისტორია, ტომი 1, ტფილისი, 1936.

ცინცაძე, ქსნის ხეობის ხუროთმოძღვრული ძეგლის – კაბენის გახსნა-შესწავლის შედეგები – ცინცაძე ვ., ქსნის ხეობის ხუროთმოძღვრული ძეგლის – კაბენის გახსნა-შესწავლის შედეგები, AG, 7, 1971, გვ. 67-90.

ჭანკიევი, დაქარაგმება V-X სს. ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში – ჭანკიევი ც., დაქარაგმება V-X სს. ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში, პძ, II, 1969, გვ. 117-128.

ხუნდაძე, ძველი ალთქმის სიუჟეტები რელიეფურ ფრაგმენტებზე ნირქოლიდან – ხუნდაძე თ., ძველი ალთქმის სიუჟეტები რელიეფურ ფრაგმენტებზე ნირქოლიდან, “Academia”, 2, 2001, გვ. 81-92.

ჯაბუა, ქრისტიანული ტაძრის არქიტექტურული ტიპები – ჯაბუა ნ., ქრისტიანული ტაძრის არქიტექტურული ტიპები შუა საუკუნეების საქართველოში, თბილისი, 2012.

Барнавели, Надписи мачханской церкви – Барнавели Т., *Надписи мачханской церкви*, САНГ ССР, Т. XXIX, №5, 1962, გვ. 649-655.

Меликсет-Бек, Рельефы руки – Меликсет-Бек Л., *Рельефы руки на памятниках материальной культуры феодальной Грузии*, მსმ, IX, 1957, გვ. 109-130.

Меписашвили, Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида Картли – Меписашвили Р., Цинцадзе В., *Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида Картли*, Тбилиси, 1975.

Чубинашвили, Архитектурные памятники VIII и IX века в Ксанском ущелье – Чубинашвили Г., *Архитектурные памятники VIII и IX века в Ксанском ущелье*, АГ, I, 1942, გვ. 1-30.

Чубинашвили, Архитектурные памятники VIII и IX вв. в Ксанском ущелье – Чубинашвили Г., *Архитектурные памятники VIII и IX вв. в Ксанском ущелье*, В книге: Г. Чубинашвили, *Вопросы истории искусства. Исследования и заметки*, Т. 1, Тбилиси, 1970, გვ. 141-172, ტაბ. 44-61.

Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века – Чубинашвили Г., *К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века*, САНГ ССР, Т. XIII, 1952, №7, გვ. 441-447.

Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв. – Чубинашвили Г., *К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв.*, В книге: Г. Чубинашвили, *Вопросы истории искусства. Исследования и заметки*, Т. 1, Тбилиси, 1970, გვ. 173-177, ტაბ. 62-63.

Шмерлинг, Долидзе, Барнавели, Окрестности Тбилиси. Архитектурный путеводитель – Шмерлинг Р., Долидзе В., Барнавели Т., *Окрестности Тбилиси. Архитектурный путеводитель*, Тбилиси, 1960.

The Machkhani Bilingue and Monolingue

Epigraphic monuments constitute valuable primary sources of information on the history of Arab dominance in Georgia. Our goal was to revisit the Georgian-Arabic bilingue and Georgian monolingue incised on the walls of Machkhani church, in the vicinity of modern Tbilisi, i.e. Tiflīs, the center of Arab dominions in medieval Georgia. Both lapidary inscriptions have already been analyzed and published by Akaki Shanidze, Giorgi Tsereteli, Giorgi Chubinashvili, Teimuraz Barnaveli, Leon Melikset-Beg, Korneli Danelia and Zurab Sarjveladze, etc.; nevertheless, *de visu* study (producing the paleographic copies included) in February 2023 let us ascertain some significant details. Reconsidering the available data we inferred the following: 1) Paleographic analysis dates the bilingue to the 10th c., or even early 11th c., dismissing the previous dating to mid-9th c.; 2) Apparently being contemporary to constructing works, the bilingue dates the Machkhani church to the same time period, refuting its architectural features as dating tool for establishing the chronology of similar edifices; 3) The Machkhani church was constructed by permission of Emir of Tiflīs, illustrating the confessional policy of and in the Emirate of Tiflīs; 4) The bilingue and monolingue were carved by different artisans, perhaps in the same epoch, but possibly even decades apart; unfortunately, the third inscription (or a relief?) was destroyed; 5) The contents of the Georgian monolingue remain partially undeciphered; however, it became clear, that no “City Emir Ghyavar” was mentioned, and hence existed; 6) Humad b. Bashīr and Homad / Humad K’it’risdze mentioned correspondingly in the Arabic and Georgian parts of the bilingue were the same person, Humad son of Bashir K’it’risdze, fl. in the 10th c. or early 11th c., and being unrelated to Al-Qiṭrīj, the patrikos of Gardman, fl. in 853. This person was not the Emir of Tiflīs but rather local official or feudal ruling in the Dighomi valley. Having Arabic *ism* and *nasab*, Humad son of Bashir K’it’risdze was clearly and understandably affected by Arab culture; nevertheless, it is remarkable, that the bilingue carved on the wall of a church in several kilometers from Tiflīs is mostly *in Georgian*. The bilingue elucidates one more medieval Georgian (perhaps islamized) noble family, serving the Emirate of Tiflīs, the K’it’risdzes; presumably one of the many integrated into the hierarchy and administrative system of this Muslim-Georgian state.

ცხრილი 1. მაჩხანის ბილინგვის ქართულ-არაბული ტექსტი და მისი წაკითხვა

	ორიგინალური ტექსტი	მხედრული წაკითხვა ქარაგმების გახსნით
1	†ს~ტქ~ნ~ტ:ნ~ტ	† სახ(ე)ლი(თ)ა ღ(მრ)თ(ისაჲ)თა
2	შ~ტ~ქ~ტ~ტ:ტ~ტ:ტ~ტ	მე(ო)ხ(ე)ბ(ი)თა ნ(მიდის)ა თ(ევდორ)ე-
3	ს~ტ:ტ~ტ~ტ~ნ~ტ:ნ~ტ:ტ:	ს(ით)ა ად(ი)დ(ე)ნ ღ(მერ)თ(მან) ქ(ართლის)ა
4	ტ~ტ~ტ~ტ:ტ~ტ~ტ:ტ	ამ(ირაჲ)სა ბედთა ა-
5	ტყ~ტ~ტ حمد:ტს~ტ:სტ	ეშენ- حمد -ა ესე საყ-
6	ტტ~ტ~ტ س ناسر	დარი بن ჰომად კ- بشير
7	ტტ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ	იგრისძისაობასა
8	[...]ო ყ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ	[უ(ფალ)]ო შეონდვ(ე)ნ ც(ო)დ(ვ)ანი

ცხრილი 3. მაჩხანის მონოლინგვის ქართული ტექსტი და მისი წაკითხვა ჩვენს მიერ (კურსივით აღნიშნულია ის ფრაგმენტები რომელთა წაკითხვაც ვერ ხერხდება, ან საეჭვოდ მიგვაჩნია)

ორიგინალური ტექსტი	წაკითხვა ქარაგმების გახსნით	
	ჩვენი დაკვირვებით:	
1	†ს~ქ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ	† ს(ა)ხ(ე)ლი(თ)ა ღ(მრთისაჲ)თა, მ(ეო)-
2	ქ~ქ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ	ხ(ე)ბ(ი)თა ნ(მიდის)ა ღ(მრთისმშობლისაჲ)თა, შ(ე)ნ(ე)ვნი-
3	ტ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ	ნ(მიდი)სა თ(ე)ვ(დო)რ(ესი)თა
4	ტ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ	ა(ღე)შ(ე)ნა ს(აყდა)რი (ე)სე დი(დგო)-
5	ტ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ	რის წ(ევისუფ)ლ(ო)ბა(ს)ა გლ
6	ს~ტ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ	საბსალქასცო
7	ქ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ	ბსაამსლაერი
8	[...]ო~ტ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ~ტ	[...] იოვ(ანე)ს უ(ფალ)ო შ(ეუნდ)ვ(ე)ნ

ცხრილი 2. მაჩხანის მონოლინგვის ქართული ტექსტი და მისი წაკითხვა წინარე ავტორების მიერ (ხაზგასმულია და წილადის საზოთ გამოყოფილია წაკითხვის შესაბამისად ბარნაკელისეული და შოშიაშვილისეული ვარიანტები)

ორიგინალური ტექსტი	წაკითხვა ქარაგმების გაცხნით			დანული-სარჯველაძე:
	ბარნაკელი:	შოშიაშვილი:		
1 ქს ^ჲ ქ ^ჲ ნ ^ჲ რ ^ჲ ქ ^ჲ ძ ^ჲ	ქ სახელთა ღმრთისათა, მეო-	ქ ს(ა)ხ(ე)ლი(თ)ა ღ(მრთისა)თა, მ(ეო)-	ქ სახელთა ღმრთისათა, მე-	
2 ქ ^ჲ ყ ^ჲ ღ ^ჲ ქ ^ჲ რ ^ჲ წ ^ჲ რ ^ჲ ღ ^ჲ წ ^ჲ ყ ^ჲ რ ^ჲ	ხებთა წმიდისა ღმრთის-მშობლისათა, შენენი-	ხ(ე)ბ(ი)თა წ(მიდის)ა ღ(მრთის-მშობლისა)თა, შ(ე)წ(ენი)-	ეოხებთა წმიდისა ღმრთის-მშობლისათა, შენენი-	
3 ძ ^ჲ წ ^ჲ რ ^ჲ ს ^ჲ წ ^ჲ რ ^ჲ ქ ^ჲ ძ ^ჲ	თა წმიდისა თევდორესითა	თა წ(მიდი)სა თ(ე)ვ(დო)რ(ესი)თა	თა წმიდისა თევდორესითა	
4 წ ^ჲ ყ ^ჲ ჩ ^ჲ ს ^ჲ ქ ^ჲ ქ ^ჲ წ ^ჲ ქ ^ჲ ძ ^ჲ	აუშენა საყდარი ესე დიდგო-	ა(ე)შ(ენ)ა ს(ა)ყ(და)რ(ი) ესე დი(დგო)-	აუშენა საყდარი ესე დიდგო-	
5 ქ ^ჲ ქ ^ჲ ს ^ჲ ყ ^ჲ წ ^ჲ ყ ^ჲ ს ^ჲ წ ^ჲ ქ ^ჲ ძ ^ჲ	რის ჳევისუფლობასა გ(უ)ლ- [გ(ე)ლ-]	რის(?) ჳ(ევისუფ)ლ(ო)ბ(ა)ს(ა) გ(უ)ლ-	რის(?) ჳევისუფლობასა გულს-	
6 ს ^ჲ წ ^ჲ ყ ^ჲ ს ^ჲ წ ^ჲ რ ^ჲ ქ ^ჲ ძ ^ჲ ს ^ჲ წ ^ჲ ჩ ^ჲ ღ ^ჲ ო.	საბ(ი)საჲ ქა(ლაქი)სა უ(ფლო-)	ს(ურ)აბ(ი)სა(?) ლ. ქ ას(ა)ნო-	სა ალ(?) ქ(რისტე) ას ^ჲ ნო	
7 [ყ ^ჲ]ს ^ჲ წ ^ჲ ქ ^ჲ ს ^ჲ ღ ^ჲ ქ ^ჲ წ ^ჲ რ ^ჲ ქ ^ჲ ძ ^ჲ	ბ(ას)ა ამ(ირა)ს(ა) ღაგ(ა)რი-	ბ(არ)სა(?) ამ(ი)ს ლავრი-	ბ ^ჲ სა ამის ლავრი-	
8 [ს ^ჲ]ქ ^ჲ ო. ^ჲ რ ^ჲ ს ^ჲ ო. ^ჲ ო. ^ჲ ყ ^ჲ წ ^ჲ ჩ ^ჲ ღ ^ჲ	[სა] იოვ(ანე)ს უ(ფალ)ო შ(ეუნდ)გ(ენ), [ამინ]	[სა] იოვ(ანე)ს უ(ფალ)ო შ(ეუნდ)გ(ენ)	[სასა] იოვანეს, უფალო, შეუნდვენ	

ილუსტრაციები:

სურ. 1. მაჩხანის ეკლესია; სამხრეთ კედელში შესასვლელის ბალავრის ქვა; ზოგადი ხედი.

სურ. 2ა. მაჩხანის ეკლესია; ქართულ-არაბული ბილინგვა, ფოტო.

სურ. 2ბ. მაჩხანის ეკლესია; ქართულ-არაბული ბილინგვა, პალეოგრაფიული პირი.

სურ. 3ა. მაჩხანის ეკლესია; ქართული მონოლინგვა, ფოტო.

სურ. 3ბ. მაჩხანის ეკლესია; ქართული მონოლინგვა, პალეოგრაფიული პირი.

Illustrations:

Fig. 1. Machkhani church; the architrave; general view.

Fig. 2a. Machkhani church; Georgian-Arabic bilingue, photograph.

Fig. 2b. Machkhani church; Georgian-Arabic bilingue, paleographic copy.

Fig. 3a. Machkhani church; Georgian monolingue, photograph.

Fig. 3b. Machkhani church; Georgian monolingue, paleographic copy.

ფოტოები ირაკლი ფალავასი და თამაზ გოგოლაძის;

პალეოგრაფიული პირები თამაზ გოგოლაძის.

Photographs by Irakli Paghava and Tamaz Gogoladze;

Paleographic copies by Tamaz Gogoladze.